# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 21 აგვისტო 1998 №147 (682) ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაისი და საბერველი

## თუ ნაკრებმა არ იფრინა, გულშემატკივარი გააფრენს



ვახტანგ ბზიკაძე

კიევიდან

ძნელი მისახვედრი არაა, მაგრამ ზუსტად მაინც არ ვიცი, რა ხდებოდა თბილისში უკრაინასთან ქართველთა გამანადგურებელი მარცხის შემდეგ. აქ, კიევში კი ყველა, ფეხბურთელებით დაწყებული, მასაჟისტით დამთავრებული ერთ კითხვას შეუწუხებია — შინ როგორ ჩაგიდეთ, თავი არსად გამოგვეყოფაო. შინაურთათვის თვალის გასწორება ერცხვინებათ, თორემ უკრაინის დედაქალაქში დღეს დილამდე შერჩენილ მოთამაშეთათვის ხრეშატიკზე გავლა არავის აუკრძალავს. არც არის ქალაქში ისეთი განწყობა, საამისო მიზეზი რომ არსებობდეს. ისე მოინელა ამ 2,5 მილიონიანმა გიგანტმა ეს უმნიშვნელო მოვლენა, როგორც გადახრწნილი მეეზოვის ავტომანქანის საბურავებში ჩავარდნა არ ახსენდება ორი დღის შემდეგ არავის. მოკლედ, ქართველ ფეხბურთელს ქუჩაში თვალს არავინ გააყოლებდა, შეხედეთ, ესენი არიან, ჩვენმა ბიჭებმა ასე სამაგალითოდ თავლაფდასხმული რომ დატოვესო. არადა, ასეც რომ მომხდარიყო, რა გასაკვირი იქნებოდა. მაგრამ ჩანს, მართალი იყო ერთი ჩვენი კიეველი კოლეგა, მაყურებელთა სიმცირე ასე რომ ახსნა — ჩვენებურ პრესას ამ მაჩტისთვის არანაირი რეკლამა არ გაუკეთებია, უამისოდ კი საქართველო „ბარსელონა" არ არის, სტადიონი რომ გადაიჭედოსო. ჯანდაბას „ბარსა", მით უმეტეს, უკრაინელებს თავი ვერაფრით დაამახსოვრა და ორი, მართლაც რომ შთამბეჭდავი გამარჯვება გაუფერმკრთალა. ასეა, იმ მეტოქსთან მოგება, რომელიც 3-4 გოლს უშვებს და ერთიც ვერ გააქვს, აბა, რა დიდად საამაყოა. ასე იყო საქართველოსთანაც: მასპინძლებმა არათუ მოგება, ანგარიშიც იმდენად ლოგიკურად ჩათვალეს, არც უცდიათ ოდნავი ინტერესი გამოეჩინათ, ეს „გრუზინები" ასე რალამ დააუძლურაო. დიახ, აქაური ჟურნალისტები, მატჩი მორჩენილიც რომ არ იყო, უკვე შესდგომოდნენ თავისიანთა კრიტიკას და წუწუნს, ასე ხომ „რუსაკები" დაგვამარცხებენ, ასე შორს ვერ გავფრინდებითო. ესენი თუ ვერა, მაშ, ჩვენ სადლა უნდა გავფრინდეთ, რიგაში, ათენში თუ ოსლოში? არადა, თუ ნაკრებმა არ იფრინა, ჩვენებური გულშემატკივარი გააფრენს — ასე იმედიანად რომ შესცქეროდა ვლადიმერ გუცაევის აქამდე წაუგებელ დებიუტს ეროვნულ გუნდში.

აშკარაა და არა დაუჯერებელი, რომ გუცაევმა ეროვნულს ის სული ვერ შთაბერა, რომელმაც ახალგაზრდული ნაკრები, სხვები რა სახსენებელია, თვით იტალიელებზე აღამაღლა და შესარჩევ ჯგუფში ინგლისის კუდში, მეორე ადგილზე გაიყვანა. შევეშვათ ახალგაზრდულს და ცოტა ხნით გუშინწინდელ მატჩსაც. მით უმეტეს, უმცროსები, როგორც ოთხშაბათს დილით, მატჩისშემდგომ, ძალთა აღსადგენ ვარჯიშზე დავრწმუნდი, რობერტო ლანდის სახით, საიმედო ხელში არიან. ამ თემაზე უფრო ვრცლად თბილისში ჩამოსვლის შემდეგ იყოს, ახლა კი, კვლავ უფროსებს უნდა დავუბრუნდეთ.

ქართული ფეხბურთის ის თაობა, რომელიც ნაკრების ბირთვს წარმოადგენს და ფეხბურთის ენაზე უკვე ვეტერანად იწოდება, თავდაღმართშია. დაცემას აღზევება მოსდევს, მაგრამ ბოლოს მაინც ყველა თავქვე ეშვება. ცხადაძე, შელია, ქეცბაია სხვაგვარი მენტალიტეტისანი არიან. მთავარი მიზანი მათთვის აწი კარიერის მშვიდად გასრულება უნდა იყოს. ამ შემადგენლობიდან ჯიუტად ვარდება თემურ ქეცბაია, რომელიც ვერც კენი დალგლიშის გასწვრივ ჯდომას ეგუება და ნაკრებში სათამაშოდაც ყოველთვის ხალისით მოეჩქარება.

ვინ ვის გადასდო, ძნელი სათქმელია, მაგრამ, ცხადია, ეს სენი ქინქლაძეს, ნემსაძეს, ჯამარაულს, შოთა არველაძესაც შეჰყრიათ. მგონი, მათ ვერც კი შეიტყვეს, ისე გადაიარეს საფეხბურთო ცხოვრების ზენიტი, შოთა „აიაქსშია" და თავის სიძლიერეს „გრააპსხაფს" და „ვალვაიკს", ჟამიდანჟამ, „მარიბორს", „ბოხუმს" თუ „უდინეზესაც" მონდომებით უმტკიცებს. ნაკრებში კი ჩვენი, ეროვნული გუნდის მთავარი ფორვარდს გოლი არ გაუტანია. „აიაქსში", ოღონდ თავიდან და ისევ მარცხენა ფლანგიდან იწყებს ყველაფერს ქინქლაძეც. აწი იმ ძველ გიოსლა თუ დავიბრუნებთ, ვეღარც მოასწრებს 25 წლისა განვითარებას. ტყუილად არ „უკბენიათ" რუსებს შოთასთვის — 25 წლის ამომავალი ვარსკვლავიო. ფეხბურთი ისე გაახალგაზრდავდა, ვარსკვლავი ამ ასაკში უკვე კარგა ხნის გამომცხვარი უნდა იყოს. რედაქციაში ჩემი მაგიდის თავზე რამდენიმე ქართული პოსტერია. ერთი ასეთი საშინაო პლაკატიცაა გიო ახვლედიანის ნაჩუქარი, რომელიც მცირე და იოლად მისახვედრი წიაღსვლის შემდეგ ასე მთავრდება — ვინ დაგვიბრუნებს პატარა ქინქის. ის სიტისდროინდელი მწარედ ნახუმრევი არ ჩამომიხსნია. არც მთავარი კითხვის პასუხი მიმიწერია, რადგან დარწმუნებული ვარ, ამას მორტენ ოლსენი ვერ გააკეთებს, მით უფრო, გუცაევი, ქინქლაძეს წელიწადში მაქსიმუმ ათჯერ რომ ხვდება. ეს თავად გიომ უნდა შეძლოს იმ ორი მწვრთნელის დახმარებით, რომლებსაც მისი ჯერაც სჯერათ. მაგრამ ეყოფა მას ნებისყოფა, გამოიჩენს ხასიათის ასეთ სიმტკიცეს?

ჯამარაული სულაც უკლუბოდაა. ცოდოა, მეტი რაღა უნდა ვთქვათ.

და ნემსაძე. მან ოთხშაბათსაც ტრავმა მიიღო. ამდენი ტრავმების გადამკიდეს კლუბთან ურთიერთობაც აეწეწა — „გრასჰოპერი" მასზე უარს აცხადებს.

რაღა ვთქვათ კობიაშვილზე, რომელიც რატომღაც „დორტმუნდს" არ მიჰყიდეს. ეს ნიჭიერი ბიჭი ახლა, ძალიან, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, ფორმაში ვერაა...

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ, მგონი, ესეც საკმარისია იმის მისახვედრად, რომ გუცაევის საბერველი რაგინდ დიდი იყოს, ნაკრების მინავლებული ნაკვერჩხლისგან ცეცხლს ძნელად თუ დაანთებს.

სხვა იყო ახალგაზრდული — იქ ბიჭები თითქმის ბრმად მიჰყვებოდნენ ვლადიმერ გუცაევს. გულიც სხვაგვარად ერჩოდათ და ჭკუაც სხვაგვარად უჭრიდათ. ის გუნდი ოთხშაბათს უკრაინასთან თუ წააგებდა, ასე მაინც არ შერცხვებოდა.

თუ ტყუილს ვამბობ, დაე, ყველა ნაკრებელმა გამამტყუნოს, ოღონდ საკუთარი თამაშით. და არა მხოლოდ თბილისსა თუ რიგაში, სადაც ბარე ორი ჩვენი კლუბიც მოიგებს, არამედ ათენსა და ოსლოშიც.

## საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის განცხადება

მას შემდეგ, რაც ქართულ საფეხბურთო გუნდებს საერთაშორისო სარბიელზე დამოუკიდებლად გასვლის საშუალება მიეცათ, ჩვენი სპორტული რედაქციები ცდილობენ, უცხოეთში მიავლინონ ჟურნალისტები და მკითხველს უშუალოდ შეჯიბრების ადგილიდან მიაწოდონ ინფორმაცია. საქართველოში უკვე რამდენიმე გაზეთი არსებობს, მწირი ფინანსური შესაძლებლობების მიუხედავად მივლინების ხარჯებს რომ არ ერიდება და გამგზავრებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ პრობლემებსაც (ამ პრობლემათა მოგვარებაში, ზოგჯერ, გუნდებიც გვეხმარებიან და მადლობის მეტი რა გვეთქმის). ასე მოხდა ბათუმის „დინამოს" ამასწინანდელი ბელგრადული მატჩის შემთხვევაშიც: „სარბიელმა" იუგოსლავიაში მიავლინა ქართული ფეხბურთის განყოფილების თანამშრომელი, სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის წევრი კობა ინასარიძე, რომელმაც მოსკოვიდან ბელგრადში ბათუმელებთან ერთად იმგზავრა. ბელგრადის აეროპორტში, ვიდრე საბაჟო და სასაზღვრო კონტროლს გაივლიდნენ, გაზეთის კორესპონდენტისა და დინამოელთა მთავარი მწვრთნელის შოთა ჭეიშვილის საუბარში დელეგაციის ხელმძღვანელის თენგიზ ბაკურიძის უხეში ჩარევა ხმამაღალ საუბარსა და შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. „ვიღაც თავხედი კორესპონდენტის" საქციელით პატივმოყვარეობაშელახულმა და გაგულისებულმა ბატონმა ბაკურიძემ „გამოსავალს" უმალ მიაგნო: მესაზღვრეთათვის წარსადგენი საერთო სიიდან ამოშალა ჟურნალისტის გვარი და ამხელა გზაგამოვლილი, ხარჯგაწეული და საზღვართან ორ ნაბიჯზე მდგომი კაცი ბელგრადის აეროპორტში ოთხდღიანი პატიმრობისთვის გაიმეტა. ოცდაათკაციან ქართულ დელეგაციაში, სამწუხაროდ, ისეთი არავინ აღმოჩნდა, ჩვენს სარბიელელ კოლეგას გამოქომაგებოდა და აბობოქრებული ბაკურაძასთვის „განაჩენის" გადასინჯვა ეთხოვა. ჩვენებურთაგან განწირული ჟურნალისტი იუგოსლავიელმა მესაზღვრეებმა დაინდეს და ნახევარსაათიანი ახსნა-განმარტების შემდეგ ქვეყანაში შესვლის ნებართვა მისცეს.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია პროტესტს უცხადებს ბათუმის „დინამოს" საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობას, მთავარ მწვრთნელს, დელეგაციის მეთაურს თ. ბაკურაძეს კი ბრალს სდებს იმისთვის, რომ:

— პირადი ანგარიშსწორების მიზნით ბოროტად გამოიყენა დელეგაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილება;

— საფრთხე შეუქმნა საქართველოს მოქალაქის თავისუფლებას უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე;

— ცინიკურად და უცერემონიოდ ხელი შეუშალა ჟურნალისტს პროფესიული მოვალეობის შესრულებაში;

— აბუჩად აიგდო გაზეთის რედაქცია და ათასობით მკითხველი, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა კორპუსი;

ასეთი საქციელისთვის, ჩვეულებრივ, პასუხს აგებენ.

იმის იმედიც გვაქვს, რომ ამგვარი ინციდენტი არასდროს გამეორდება.

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია**



REUTERS ბუდაპეშტიდან

ვიცეჩემპიონი ერიკა ალფრიდი და ჩემპიონი ანარიტა სიდოტი

## ინატრეთ ნოლი და ინატრეთ ციცქნა

BUDAPEST '98

უნგრეთის დედაქალაქში, მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატზე, მესამე დღეც წინა ორის მსგავსად დაძაბული და თვალსასეირო სანახაობით აღსავსე გამოდგა.

სამწუხაროა, რომ შვიდ სახეობაში ახლადგამოვლენილი ჩემპიონებისა და პრიზიორების ნაცვლად საუბრის დაწყება ისევ ქართველი ათლეტის წარუმატებელი გამოსვლით გვიწევს. მაგრამ რას იზამ. მკითხველს რომ ყველაზე მეტად სწორედ ჩვენი თანამემამულეთა ბედ-იღბალი აღელვებს და მათი ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი გულთან ახლოს მიაქვს.

თუმცა დღეს ქართველებზე, უფრო სწორედ კი მძლეოსან ქალ თამარ შანიძეზე მოსახარებელი არაფერი გვაქვს. პირველობის გახსნის დღეს მოგეხსენებათ, ჩვენს ორივე ათლეტს — 100 მეტრ დისტანციაზე მორბენალ რუსლან რუსიძესა და შანიძეს ხელი მოეცარათ. რუსლანმა ბუდაპეშტში გამოსვლა იმ დღესვე დაასრულა, ხოლო თამარი სარბენ ბილიკზე გუშინაც გავიდა და ახლა 200 მეტრზე სირბილში სცადა ბედი.

იხილეთ მერვე გვერდი

## ოლიმპიადა: აქედან ვერ წაუვლით!

## კეტბურთი თუ ბეისბოლი?

წინა კვირის დღეებში ქართველიკეტბურთელების ავსტრიულ ვოიაჟზე „სარბიელში" მცირედ მოგითხრობდით და გეხსომებათ, ჩვენმა ბიჭებმა ევროპის ჩემპიონატის B ჯგუფში მესამე ადგილი რომ დაიკავეს. სამეულში მოხვედრა თავისთავად კარგი კია, მაგრამ ჩვენებისთვის ამ შედეგმაც არ იკმარა. კონტინენტის საუკეთესოთა შორის, ანუ A ჯგუფში მოსახვედრად, სადაც სიდნეის ოლიმპიადის საგზურის მოსაპოვებლადშეეძლოთ ბრძოლა. უფრო დაწვრილებით ვენაში გამართული შეხვედრების შესახებ ავსტრიიდან ამ დღეებში დაბრუნებული კეტბურთის ფედერაციის პრეზიდენტი რამაზ გოგლიძე გვესაუბრება.

იხილეთ მეშვიდე გვერდი



რამაზ გოგლიძე ოლიმპიადაზე ფიქრობს

# პასუხი გავცეთ მთავარ კითხვას

მოდი, ყველაფერი ნათლად ვთქვათ. წინაალმდეგ შემთხვევაში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაუგებრობა გველის. მოხდება იგივე, რაც აქამდე მრავალჯერ მომხდარა. კერძოდ, ამა თუ იმ ქართული გუნდის საერთაშორისო მარცხის შემდეგ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი რომ წაუკითხავთ, ამ გუნდის ხელმძღვანელები განაწყენებულან ან მეტიც, აღშფოთებულან. მერე იწყება ხოლმე გაუთავებელი ასე რატომ დაწერეთ და ეს მართალი არ არის. კიდევ უარესი, ბევრნი ჟურნალისტებს ასე გვიტევენ: რა გესმით ფეხბურთის, თქვენ ხომ დიდ სარბიელზე არასდროს გითამაშიათ, რა უფლება გაქვთ, კრიტიკულ წერილებს რომ წერთო.

მართლაც სასაცილოა, კაცი, რომლის გუნდიც ულმერთოდ მარცხდება და გვარცხვენს, სხვას ეუბნება, ფეხბურთის რა გაგეგებაო, მეტიც, ამ კაცს ისიც არ ესმის, რომ ფეხბურთის აღქმა-გაგება სულაც არაა დამოკიდებული იმაზე, გითამაშია თუ არა დიდ სარბიელზე. იმდენი ჩვენ სიცოცხლე, რამდენიც ამქვეყნად ფეხბურთელი დაიარება, რომ ვერ გააანალიზებს, რატომ მოიგო ან წააგო მისმა გუნდმა. მწვრთნელობა, ისევე როგორც ჟურნალისტობა, სულ სხვა პროფესიაა და ნაკლებადაა კავშირში იმასთან, მარცხენა ფეხით კარგად აჩერებ ბურთს თუ ცუდად. რაც შეეხება წერის უფლებას, ჟურნალისტს იგი აქვს. მეტიც, ეს მისი მოვალეობაა და ამის ახსნით მეოცე საუკუნის ბოლოს საკუთარ თავს შეურაცხყოფას ვერ მივაყენებთ.

მოკლედ, მთელს მსოფლიოში ასეა და სანამ საქართველო დედამიწას გამოეყოფა, აქაც ასე იქნება: მწვრთნელი გაწვრთნის, ფეხბურთელი ითამაშებს, ხოლო ჟურნალისტი მოგებულს შეაქებს, წაგებულს კი გააკრიტიკებს. თუ კიდევ გაგრძელდება დემაგოგიური კიჟინა, თქვენ არ გითამაშიათ და ამიტომ ფეხბურთზე ნუ წერთო, გიპასუხებთ: თქვენ არასდროს დაგიწერიათ და ამიტომ სტატიების შეფასება თქვენი საქმე არ არის.

ახლა ისიც გავარკვიოთ, რამდენად მართალნი არიან დამარცხებული გუნდების თავკაცები, როდესაც ბრაზდებიან, რატომ გაგვაკრიტიკეთო. ერთი შეხედვით, ცხელ გულზე, შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი მტყუანნი არიან, მაგრამ, მოდი, ერთი წუთით საკითხი სხვანაირად დავსვათ: ჯერ გავარკვიოთ, რას ველით ქართული გუნდებისგან და მათ შედეგზე ამის მიხედვით ვიმსჯელოთ. იქნებ ჩვენ სხვას ველით, თავად გუნდები კი სხვას და ამიტომ ხდება გაუგებრობა? იქნებ ფოთის „კოლხეთს" ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან" ორი შეხვედრის ჯამში ერთი გოლიც რომ ვერ გააქვს და თერთმეტს უშვებს, კარგი შედეგია, რადგან შეიძლებოდა ოცი გაეშვა და ჩვენც სწორედ ამაზე უნდა გვენერვიულა? იქნებ მთელი ევროპა რომ უცქერს, როგორ ვერ გამოაქვთ „პარტიზანთან" თამაშში ბათუმელებს ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში ბურთი არათუ საჯარიმოდან, ლამის მეკარის ბაქნიდან, გასახარი ამბავია, რადგან საბოლოოდ მხოლოდ 0:2 წააგეს. იქნებ მადლობა უნდა ვუძღვნათ, რომ ანგარიში 0:10 არ იყო? რომ გვეწყინა, თბილისის „დინამომ" ალბანურ „ვლაჟნიასთან" 1:3-ის წაგება როგორ გვაკადრაო, ვინძლო იმ დონის ქვეყანა ვართ, სწორედ ალბანეთს რომ უნდა ებრძოლოს და უკეთესებთან თანაბარ თამაშზე ფიქრიც არ უნდა გაბედოს? ჩვენი „ტორპედო" ბელგიის „ლომელთან" სტუმრად მოგებას შინ ქარს რომ გაატანს, იქნებ არ უნდა გავაკრიტიკოთ და პირიქით, სიხარულით მეცხრე ცას უნდა ვეწიოთ, რადგან ერთ თამაშში მაინც გავიმარჯვეთ? იქნებ ნაკრები აგერ, უკრაინაში 0:4-ს რომ წააგებს, უნდა გვესიამოვნოს?

მაშ, მოდი, განვსაზღვროთ, ვინ ვართ და რა გვინდა. თუ ხმამაღლა განვაცხადებთ, რომ ფეხბურთში სან მარინოს, ლუქსემბურგის, მალტის და ფარერის კუნძულების ტოლ-სწორი ქვეყანა ვართ, მაშინ 0:2 და 0:4 წაგებებზე ენაც არ მოგვიბრუნდება და არც დამარცხებული გუნდების მწვრთნელებს მიეცემათ აღშფოთების საბაბი, ხოლო თუ რამე პრეტენზია გვაქვს, მაშინ უკაცრავად!

დღეს კი, აი, რა ხდება: ერთი გვიბრაზდება, წაგებისთვის რატომ გამაკრიტიკეთო, მეორე კი ხმამაღლა გაიძახის, ქართული ფეხბურთის ფენომენიო. თუ ფენომენზეა ლაპარაკი, განა ქართული ფეხბურთის მუშაკებს თავად არ უნდა მოეხსენებოდეთ, რომ ფენომენალური ერის შვილები ყოველ ფეხის ნაბიჯზე სირცხვილს არ უნდა ჭამდნენ? მაშ რად აცხადებს ასე ვაჟკაცურად ეროვნული გუნდის თავკაცი, საქართველოს ნაკრებმა ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის უნდა იბრძოლოსო?

ვინ ვართ, ხალხო, რა გვინდა?!

იქნებ ვინმემ გვთხოვოს, საკუთარი პოზიცია გაგვაცანითო. კი ბატონო.

ჩვენ კარგად გვახსოვს 1981 წლის 13 მაისი. უფრო ადრინდელიც ბევრი გვახსოვს და ამიტომ ვფიქრობთ, რომ ქართველებს საერთაშორისო საფეხბურთო ამბიცია უნდა გვქონდეს. ნურც გადამლაშებაში ჩამოგვართმევთ ამ ნათქვამს, რადგან ისიც კარგად ვუწყით, რომ, ვთქვათ, იტალიელებს, გერმანელებს, ინგლისელებს და ესპანელებს ასეთი 13 მაისი აურაცხელი ჰქონდათ, ამიტომაც დიდთა შორის უდიდესებს არ ვედრებით. ვიცნობთ იმ ქვეყნების ამბავსაც, ჩამოთვლილთა დარად არა, მაგრამ ჩვენზე მეტჯერ რომ გაუმარჯვიათ და არც მათ ტოლობას ვიჩემებთ. თუმცა, მოგვკალით და, ფეხბურთში ლუქსემბურგობა და მალტობა სამარცხვინო გვგონია. ვფიქრობთ, ამასვე ადასტურებს დღევანდელი, გაპარტახებული ქართული ფეხბურთის პერიოდული წარმატებები. ის „დინამო", რომელიც „ვლაჟნიასთან" მარცხდება, შემდეგ ბილბაოს „ატლეტიკს" უგებს. შიგადაშიგ, ცალკეულ შეხვედრებში ნაკრებიც იმარჯვებს სახელგანთქმულ მოწინაალმდეგეებთან და ეს იმის მანიშნებელია, რომ აღმავლობისთვის საფუძველი, ხელჩასაჭიდი რაღაც არსებობს.

მაგრამ აქვე გვსურს ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ცალკეული წარმატებები და სისტემატური დამაკმაყოფილებელი თამაში. ცალკეული გამარჯვებები, როგორც მოგახსენეთ, მხოლოდ ღვთის მიერ ბოძებულ ნიჭზე მიგვითითებს, წარმატებათა (თუნდაც გარკვეულ დონეზე) სისტემატურობა კი იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთში დასაქმებული ხალხი ფიქრობს და შრომობს.

გვწამს, ქინქლაძის, არველაძის, ჯამარაულის და სხვათა ქვეყანა (წარსულის ვარსკვლავებს აქ აღარ ჩამოვთვლით) გაცილებით მეტს უნდა აღწევდეს, რადგან, მართალია, ქინქლაძე და არველაძე უცხოეთში თამაშობენ, მაგრამ მათ და საქართველოს გუნდებში დარჩენილი ფეხბურთელების უნარს შორის უფსკრული ნამდვილად არ არის და თუ აქ დარჩენილები იქ წასულებთან შედარებით ფიზიკურად თუ ტაქტიკურად მოუმზადებლები არიან, ეს ისევ და ისევ იმ ბატონების ბრალია, რომლებიც მათ ღონივრად და გამართულად თამაშს ვერ ასწავლიან, რომლებიც თავისი საქმის გონივრულად კეთების მაგივრად ჟურნალისტებს ეჩხუბებიან, ჩემი წაგება რატომ არ მოგეწონათო.

არის კიდევ ერთი მომენტი. რატომღაც საქართველოში ჰგონიათ, თუ უფულობას დაიჩივლებენ, გამართლდებიან და მერე შედეგის მიუხედავად ყველამ ტაში უნდა უკრას.

ენა არ მოგვიბრუნდება იმის სათქმელად, რომ უსახსრობა და ბეჩავ ქვეყანაში ცხოვრება კარგია, მაგრამ ამის მთქმელები უცხოური ფეხბურთის ამბებს რომ გაეცნონ და ცოტაც სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ ვითარებაზე წაიკითხონ, გაიგებენ, რომ მშიერი და ტიტველი ნიგერია ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს ზედიზედ ორი პირველობის ფინალური ეტაპის მონაწილე და აფრიკის საუკეთესო გუნდია, ომგადახდილი ხორვატია მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილზე გავიდა, არცთუ დალხენილ რუმინეთს კი „სტიაუა" უკვე რამდენჯერმე ჰყავდა ჩემპიონთა ლიგაში, ნაკრები კი მსოფლიოს პირველობაზე. მოკლედ, გაჭირვება არგუმენტი არ არისო, არ ვამბობთ, მაგრამ საკუთარი უნიათობის ამით გამართლება ცუდი იდეაა, ხალხი არ დაიჯერებს.

ასეთია ჩვენი აზრი: შეგვიძლია, მაგრამ საქმეს ვერ ან არ ვაკეთებთ.

თქვენი, ბატონო ფეხბურთის მუშაკებო და კლუბების განაწყენებულო ხელმძღვანელებო? თქვენ რა აზრისანი ბრძანდებით? ხომ უნდა გქონდეთ ჩამოყალიბებული შეხედულება იმაზე, თუ რა გინდათ? ხომ არ შეიძლება სულ იჩხუბოთ, ჩვენი დამარცხება რატომ არ გსიამოვნებთო? ბრძანეთ თქვენი აზრი. თუ თვლით, რომ საქართველოს დონის ქვეყანას წაგება გულს არ უნდა უტეხდეს, ხმამაღლა თქვით, ხოლო თუ ფიქრობთ, რომ ამბიცია უნდა გვქონდეს, ეგეც ბრძანეთ და მერე ამ ამბიციის დასაკმაყოფილებელი ნაბიჯებიც მოაყოლეთ. მაგრამ თუ გრძნობთ, რომ ასეთ ამოცანას თავს ვერ გაართმევთ, სხვა სფეროში სცადეთ თავი, იქ, სადაც თქვენს შრომას შედეგი ექნება.

მანამდე კი, სანამ არ გავარკვევთ, რა გვინდა, მუდმივად გაუგებრობა გვექნება, რადგან ჩვენ წარმატება სულ სხვა რამ გვგონია.

**ილია ბაბუნაშვილი**

# ბედისწერისგან გაუტეხელი

დათო კარიაული იმ ნიჭიერ ფეხბურთელთა თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელია, ასე რომ გაუთქვეს სახელი ქართულ ფეხბურთს. ჩვენი ქვეყნის ყოფილი ოლიმპიური ნაკრების მარცხენა მცველი თავიდანვე გამოირჩეოდა თანატოლთა შორის და ბედიც კარგ მომავალს უმზადებდა. 21 წლის ასაკში საბერძნეთის ამბიციურ „პაოკში" გადასვლაც ურიგო დასაწყისი არ გახლდათ დიდი ფეხბურთისკენ მიმავალ გზაზე, მაგრამ სწორედ აქ უმუხთლა იღბალმა. ელადაში მიღებულმა ტრავმამ დათოს სპორტული კარიერა კარგა ხნით შეაჩერა. ვინ იცის, რამდენ წვალებას გაუძლო ამ ახალგაზრდა ბიჭმა და სულიერი სიმტკიცე მაინც შეინარჩუნა. დღესდღეობით იგი თბილისში იმყოფება და მკურნალობასთან ერთად კიდეც ვარჯიშობს. რაც მთავარია, მომავლის იმედი არ დაუკარგავს და სჯერა, რომ კვლავ დაუბრუნდება დიდ ფეხბურთს.



**დათო კარიაული**
დაიბადა 22.04.1975 თბილისში
სიმაღლე: 180 სმ, წონა 66 კგ
ამპლუა: მარცხენა მცველი
თამაშობდა: „მორკინალი" (თბილისი), „პაოკი" (საბერძნეთი)
1994-96 წლების ოლიმპიურ ნაკრებში ჩაატარა 4 მატჩი

**— ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებული მატჩებიდან რომელს გაიხსენებდით?**

— ოთხივე შეხვედრა აღსანიშნავია. ეს იყო გერმანელებთან შინ და სტუმრად, ბულგარელებთან მასპინძლობა და თამაში უელსში. საერთოდ ნაკრების წევრობა ფეხბურთელისთვის დიდი პატივია და მას ორმაგ პასუხისმგებლობას აკისრებს. გახსენებით კი უელსთან მატჩს გავიხსენებ. მიუხედავად ჩვენი მარცხისა, ვფიქრობ, ძლიერად ვითამაშე. ამ შეხვედრის შემდეგ, როგორც მწვრთნელებმა მითხრეს, სამ ინგლისურ კლუბს გასჩენია ჩემი გადაბირების სურვილი.

**— „პაოკში" როგორ აღმოჩნდით?**

— მოწვევა მომივიდა ჩვეულებრივად და გასინჯვაზე ჩავედი. ორი თამაშის შემდეგ უკვე გუნდშიც ამიყვანეს და სამწლიან კონტრაქტზე მოვაწერე ხელი. 9 თვის განმავლობაში ვიმყოფებოდი საბერძნეთში. თითქმის ყოველთვის ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობდი ჩემს ჩვეულ ამპლუაში და მთელი მარცხენა ფლანგის გაკონტროლება მევალებოდა. „პაოკმა" იმ წელს ჩემპიონატში მეხუთე ადგილი დაიკავა, ხოლო უეფას თასის გათამაშებიდან ინგლისის „არსენალი" გამოთიშა. სამწუხაროდ, იმ დროისთვის უკვე ტრავმა მქონდა მიღებული და ალბიონელებთან შეხვედრებში მონაწილეობა ვერ მივიღე.

**— როგორც ვიცით, ტრავმა გაგირთულდათ...**

— „აეკთან" გვქონდა გასვლითი მატჩი. მაშინ თემურ ქეცბაია იქ თამაშობდა. სწორედ ამ შეხვედრის წინ ვარჯიშზე დავშავდი. ფეხის კუნთი თითქმის გაწყვეტილი მქონდა და ძალიან გამირთულდა, რადგან ბერძნებმა დასვენების საშუალება არ მომცეს. ამის შემდეგ ასე წვალებით მოვდივარ.

**— მკურნალობის საქმე როგორ მიდის?**

— ოპერაცია შარშან, 18 სექტემბერს გავიკეთე, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს. ექიმების თქმით, სისხლის ჩაქცევა მაქვს და ეს როგორმე ვარჯიშით უნდა გაიწოვოს, სხვა საშველი არ არის. ერთ თვეში ყველაფერი გამოჩნდება. უკვე ბურთთანაც მივალ, სისწრაფეზეც გადავალ და მეცოდინება, როგორ ფორმაში ვიქნები.

**— ქართული კლუბების წარმომადგენლები თუ გეხმიანებიან?**

— მკითხულობენ-ხოლმე. განსაკუთრებით თემურ მახარაძისგან ვგრძნობ დიდ გულისხმიერებას. სურს, „ლოკომოტივში" ვითამაშო, მაგრამ ჩემი მდგომარეობა ჯერ კიდევ გაურკვეველია. მენეჯერის თხოვნით, „პაოკთან" გავწყვიტე კონტრაქტი. რამდენიმე უცხოური გუნდიც დაინტერესებულია ჩემით. მთავარია, ფეხი მალე მოვირჩინო და ჩვეული ფორმა ავიდგინო.

**— საბერძნეთი ჩვენი კონკურენტია ევროშესარჩევ ჯგუფში...**

— ჩემი ყოფილი გუნდიდან ნაკრებში სამი კაცია. ერთი სათადარიგო მეკარეა. „პაოკის" კაპიტანი სალორაკისი, რომელიც ახლა ინგლისში თამაშობს, ეროვნული გუნდის საყრდენი ნახევარმცველია. საერთოდ, როგორც ვიცი და ნანახიც მაქვს, საბერძნეთის ნაკრები კარგი გუნდია. მეტად სწრაფ ფეხბურთს თამაშობენ, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენებმა მაინც უნდა აჯობონ. თუმც, ათენში ძალიან გაგვიჭირდება, რადგან გულშემატკივართა საოცარი მხარდაჭერა ექნებათ. საერთოდ იქ თამაშებს ხალხი იგებს ხოლმე. ქართველებს მაღალ ტექნიკური მონაცემების წყალობით ძალუძთ ბერძნული ბარიერის დაძლევა.

**— დათო, ტრავმის გართულებამ პესიმიზმში ხომ არ ჩაგაგდოთ?**

— არა. ასეთი გრძნობა ჩემგან შორსაა. ასე რომ იყოს, ყველაფერს თავს დავანებებდი. მჯერა, მოვრჩები და ფეხბურთს ისევ დავუბრუნდები. ჩემი ერთადერთი სურვილია, საქართველოს ნაკრებში ერთი-ორი მატჩი ვითამაშო და გულშემატკივარს თავი დავამახსოვრო. მსურს, ჩემი წვლილი შევიტანო ქართული ფეხბურთის მომავალ წარმატებებში.

**ხვიჩა სანიკიძე**

# ევროპა მოინდომეს?!..

**პირველ ჯგუფში დაბრუნებული სამტრედიული გუნდის სტარტმა ეროვნულ ჩემპიონატში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ბევრის გასაკვირად, „იბერიამ" ორივე შეხვედრა მოიგო და ლიდერთა შორისაც დამკვიდრდა. სამტრედიელთა დამრიგებელი ბადრი ქორიძე გასულ ტურში კოლეგებს შორის საუკეთესოდაც აღიარეს.**



ბადრი ქორიძე

**— გულახდილად გვითხარით, თუ იფიქრებდით, რომ „ოდიშსა" და „ბათუმს" უდანაკარგოდ გასცდებოდით?**

— რატომაც არა. გუნდი ჩემპიონატს მომზადებული შეხვდა.

ორი სრულფასოვანი შეკრება გავიარეთ ქვიშხეთში, სადაც სამჯერად ვარჯიშებს ვატარებდით. ბიჭები ფიზიკურად კარგად გამოიყურებიან და თამაშიც სწყურიათ. ზუგდიდში „ოდიშთან" პაექრობა, გინდ სუსტი იყოს იგი, გინდ ძლიერი, ყველას უჭირს. ჩვენ იქედან 3 ქულა წამოვიღეთ და „ბათუმთან" შეხვედრის წინ დიდი სტიმული მოგვეცა. პირველ ტაიმში მეტოქეს შევუტიეთ და საკმაო უპირატესობაც გვქონდა. მეორეში კი კონტრიერიშებზე ავაგეთ თამაში. ტაქტიკამ გაამართლა.

**— ესე იგი, ბიჭების კმაყოფილი ხართ?**

— არა მგონია, სხვა რომელიმე გუნდში ასეთი მეგობრული ატმოსფერო სუფევდეს, თანაც ვარჯიშზე თუ თამაშის დროს თავს არავინ ზოგავს. მწვრთნელსაც სხვა რა უნდა?

**— ჭერჭერობით დარასელია გყავთ. გიორგი დიდი ძალაა, მაგრამ იგი წასვლას აპირებს. უმისობა როგორ იქნება?**

— რაოდენ საწყენიც უნდა იყოს, დარასელია, ალბათ, მალე დაგვტოვებს. სადღეისოდ მისით ჩეხური „სპარტაა" დაინტერესებული, არის აგრეთვე იტალიურ „სამპდორიაში" ან „უდინეზეში" გადასვლის შანსი. რა თქმა უნდა, დარასელია ძალიან დაგვაკლდება, მაგრამ გამოსავალს აქედანვე ვეძებთ. გამთამაშებლის ფუნქციას ვასო გიგიაძეს, თუ არა და შოთა ჩომახიძეს დავაკისრებთ. ორივე კარგად ხედავს მინდორს, მათ თამაშის საკუთარ თავზე აღებაც შეუძლიათ. განზრახული გვაქვს ორი-სამი ფეხბურთელის დამატება, რომელთა გვარებს ახლა ვერ გაგიმხელთ. ჰო, ნიკა ამირეჯიბის მწვრთნელობისას გუნდიდან გაშვებული გია ჭელიძე დავიბრუნეთ.

**— პირობებს არ ემდურით, ხომ ასეა?**

— ერთს გეტყვით და ყველაფერი თავად განსაჯეთ.

„იბერიას" პრეზიდენტი ნუგზარ ნიკოლეიშვილი რომ არა, სამტრედიაში ფეხბურთი კარგა ხანს ვერ აღორძინდებოდა. იგი ყველაფერს აკეთებს გუნდის საკეთილდღეოდ. ჯიხაიშში გვაქვს კეთილმოწყობილი ბაზა, შევიძინეთ „მერსედესის" მარკის ავტობუსი, კვება ნორმალურია და არც ჩაცმა-დახურვა გვაკლია. აგერ „იბერია-2"-იც ჩამოვაყალიბეთ, რომელსაც 1979 წელს და უფრო გვიან დაბადებული ადგილობრივი ბიჭებით დავაკომპლექტებთ.

**— X ეროვნულში რას გეგმავთ...**

—ერთ-ერთი ევროსაგზურისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ჩვენი ძალებისა გვჯერა.

**მამუკა გიგიაძე**

საარქივო ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი
3 ტური

# ობიექტურად თუ დაუსტვენენ...

დღეიდან საქართველოს მეათე ჩემპიონატის მესამე ტური იწყება, რომელიც მეტად საინტერესო ორთაბრძოლებს გვპირდება. თუ წინა ტურში მასპინძლებმა აშკარა უპირატესობას მიაღწიეს, ახლა იგივეს განმეორება ძალიან გაუჭირდებათ. თუმცა ბევრი რამ მსაჯთა ობიექტურ მოქმედებაზე იქნება დამოკიდებული. ჩვენი აზრით, ორი შეხვედრა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს: ჩემპიონატის დასაწყისში ფიასკოგანცდილი „ბათუმისა“ და ევროთასების საგზურის მოპოვების რეალური პრეტენდენტის თბილისის „ლოკომოტივის“ პაექრობა და გათამაშების ცხრილის ზედა ეშელონში მყოფთა — „ვიტ ჯორჯიასა“ და „იბერიას“ მატჩი

ბათუმი
22 აგვისტო
17 საათი
დინამო
18 000

## ბათუმი — ლოკომოტივი

მსაჯები
თ. ლაცაბიძე (სურამი)
ს. კახიანი
მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი)
პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
სფფ-ს დელეგატი:
ბ. ქარქაშაძე

ეს მატჩი უდავოდ დიდ ინტერესს იწვევს. ზღვისპირელებს ამგვარი უფერული სტარტი ჯერ არ ჰქონიათ. ისინი ყველანაირად შეეცდებიან, გულშემატკივართ დაუმტკიცონ, რომ საქართველოს თასისა და სუპერთასის ღირსეული მფლობელები არიან. თანაც, 27 აგვისტოს „პარტიზანთან“ განმეორებითი თამაშის წინ ეს მათი ბოლო რეპეტიციაა და, სიმართლე გითხრათ, უკეთეს სპარინგ პარტნიორს ვერც ინატრებდნენ.

თბილისის „ლოკომოტივი“ ხომ მეტად ძლიერი შემადგენლობით გამოდის მეათე ჩემპიონატში და გააზრებული ფეხბურთით სპეციალისტთა ყურადღებას იპყრობს. რკინიგზელთა გამოცდილ მწვრთნელ თემურ მახარაძეს „ბათუმის“ წინააღმდეგ სასურველი ტაქტიკის შემუშავება არ გაუჭირდება და ყველა ღონეს იხმარს, მასპინძელთა კრიზისი სათავისოდ გამოიყენოს. ჭეიშვილს კი თავის შეგირდებთან უფრო ფსიქოლოგიური მუშაობის ჩატარება მართებს. მან უნდა დაარწმუნოს ფეხბურთელები, რომ ზედიზედ სამი წაგება (ერთი ბელგრადში) ტრაგედიად არ აღიქვან და ყველაფრის გამოსწორება შეიძლება.

შარშანდელ სეზონში „ბათუმმა“ აშკარად დაჩაგრა „ლოკომოტივი“ და ორივე მატჩი მოუგო. 15 აგვისტოს კი იგივეს გაკეთება უცილოდ გაუჭირდება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სტუმართა რიგებში ხუთი გორელი ფეხბურთელი ითამაშებს. „დილამ“ ხომ მეცხრე ჩემპიონატში ოთხი ქულა აართვა ზღვისპირელებს და ბათუმში საერთოდაც 2:0 მოუგო.

არადა, „პარტიზანთან“ შეხვედრის წინ „ბათუმს“ ჰაერივით სჭირდება გამარჯვება.



ბადრი კოპიტაშვილის ფოტო

ჩვენს საფეხბურთო სამყაროში თემურ მახარაძე ზღვისპირელთა სპეციალისტად ითვლება

მცხეთა
24 აგვისტო
17 საათი
არმაზი
3000

## ვიტ ჯორჯია — იბერია

მსაჯები
ლ. ფანიაშვილი (თბილისი)
გ. ცირდავა (გულრიფში)
ა. სამხარაძე (სოხუმი)
ე. სილაგავა (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი
გ. გვანცელაძე

საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ეს იქნება პირველი შეხვედრა ამ გუნდებს შორის და ამიტომაც დიდ ინტერესს იწვევს. თანაც ეს კლუბები ცხრილის ზედა საფეხურებზე იმყოფებიან და ყოველნაირად შეეცდებიან, ხეირიანი სტარტი არ გაიუფერულონ. ვიტელებმაც და სამტრედიელებმაც საქართველოს თასის მფლობელთა დამარცხებით სასიამოვნო სიურპრიზები შესთავაზეს თავიანთ გულშემატკივრებს.

ერთობ ძნელია, იწინასწარმეტყველო ამ მატჩის შედეგი. უფრო თანაბარძალოვან მეტოქეთა ღირსეულ ბრძოლას ვიხილავთ და შეიძლება შეხვედრის ბედი ერთმა გოლმა გადაწყვიტოს. ვასილ მაისურაძის თავკაცობით მოთამაშე ვიტელთა დაცვის ხაზის გარღვევა „იბერიას“ ფორვარდებს ძალიან გაუჭირდებათ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სტუმართა შეტევებს გამოცდილი გიორგი დარასელია უხელმძღვანელებს, ფეხბურთელი, რომელსაც სწორედ გადამწყვეტ მომენტში ძალუძს თამაშში გარდატეხის შეტანა. თავის მხრივ, პირველ ტურში ბათუმელთა კარის ამკლები, „ვიტ ჯორჯიას“ თავდამსხმელი გრიგოლ გვაზავაც არაერთ პრობლემას გაუჩენს სამტრედიელებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვეტერინარები პირველ მატჩს თამაშობენ საკუთარ მოედანზე და ყველა ღონეს იხმარენ, რათა არ გააწბილონ გულშემატკივართა იმედები. თუმცა „შევარდენის“ სატდიონზე შინ ბურთაობას და ქომაგთა მხარდაჭერას დაჩვეულები, საკითხავია, როგორ შეეჩვევიან მცხეთის „არმაზს“.

ეს იქნება შეხვედრა, რომლის ბედიც მთლიანად მინდორზე გადაწყდება და მწვრთნელები ნაკლებად შეძლებენ რაიმეს შეცვლას. თუმცა ამ მატჩის არბიტრზე — ფანიაშვილზეც ერთობ ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

თბილისი
21 აგვისტო
17 საათი
სინათლე
2000

## მერანი — არსენალი

მსაჯები
გ. ასკაროლლი (ქარელი)
ა. მეშკოვი (თბილისი)
ზ. მენთეშაშვილი (თბილისი)
ზ. ხუციშვილი (დმანისი)
სფფ-ს დელეგატი
რ. ჩალიჩავა

დედაქალაქური მატჩი მეტად საინტერესო უნდა გამოდგეს. გასულ ორ ტურში „მერანმაც“ და „არსენალმაც“ ორივე შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით დაამთავრეს — შინ მიღწეული შედეგები (ორივე გუნდმა ფრედ 0:0 ითამაშა) შეიძლება ასე თუ ისე დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. ქვეყნის ჩემპიონთან ამ კლუბების ერთნაირი ანგარიშით (1:5) მარცხი კი მათ სუსტ სტარტზე მიუთითებს.

ასე რომ, „მერანმაც“ და „არსენალმაც“ ხელი უნდა გამოიღონ და აქედან გამომდინარე, თამაშმა საინტერესო ვითარებაში უნდა ჩაიაროს. საშინაო მატჩებში წარმატებას ჩვეული „მერანი“, ალბათ, ისევ გამარჯვებისთვის იბრძოლებს, მით უმეტეს, ავჭალელები გულშემატკივართა ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივიან. რაც შეეხება „არსენალს“, მან ჯერაც უნდა დაამტკიცოს, რომ შემთხვევით არ მოხვედრილა რჩეულთა შორის.

ბოლნისი
22 აგვისტო
17 საათი
თემურ სტეფანია
3000

## სიონი — სამგურალი

მსაჯები
ა. შილაკაძე (თბილისი)
ა. ორდენიძე (ონი)
ლ. რაზმაძე (გორი)
ზ. დარჩია (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი:
ნ. კაკულია

ბოლნისში გასამართ შეხვედრაში დიდი მობილიზება მართებთ არბიტრებს. შილაკაძემ მეტი პრინციპულობა უნდა გამოიჩინოს, რისი მიზეზიც პირველივე ტურში „თემურ სტეფანიაზე“ ჩატარებული მატჩი გახლავთ. ფედერაციის წარმომადგენლებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ იმ ფაქტს, რომ ბოლო დროს ბოლნისში მსაჯობა გმირობის ტოლფასი გახდა.

რაც შეეხება თავად შეხვედრას, სტუმრებს ფსიქოლოგიური უპირატესობა გააჩნიათ იმ თვალსაზრისით, რომ ჯერ არ დამარცხებულან — „სამგურალმა“ „მერანთან“ მიღწეულ ფრეს წყალტუბოში „გორდასთან“ მოპოვებული გამარჯვება მიაყოლა. ბოლნისელთა მონდომება და მიზანსწრაფვა ყველასთვის ცნობილია. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ წლეულს, შარშანდელთან განსხვავებით, „სიონი“ შესუსტებული შემადგენლობით თამაშობს, ამ ნაკლის გამოსწორებას კი, ალბათ, ბოლნისელი ფანები შეეცდებიან.

ზუგდიდი
24 აგვისტო
17 საათი
ცენტრალური
6000

## ოდიში — ტორპედო

მსაჯები
თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)
ლ. მიქელაძე
გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია)
ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)
სფფ-ს დელეგატი
ვ. მელაშვილი

ყველას გახსოვთ, რარიგ ჩინებულად დაიწყო შარშანდელი სეზონი „ოდიშმა“ და ლიდერის ამპლუაში ესტუმრა ქუთაისს. თანაც ზუგდიდლებს ზედიზედ შვიდ ტურში არ გაეშვათ ბურთი საკუთარ კარში. მაშინ „ტორპედომ“ ცივი წყალი გადაასხა ოდიშარებს და 4:1 მოუგო. იმ დღიდან დაიწყო „ოდიშის“ დაღმასვლა. მეორე წრეში ზუგდიდელებმა შესუსტებული შემადგენლობით ვერ შეძლეს იმერელთათვის რევანშის აღება, მაგრამ ქუთათურებს მეტად საჭირო ორი ქულა დააკარგვინეს.

წლევანდელი მატჩის აშკარა ფავორიტად „ტორპედო“ ითვლება, მაგრამ ზუგდიდელთა ახალი მწვრთნელი სოსო ჭედია სულაც არ აპირებს, დათმოს თავისი ხელმძღვანელობით ჩატარებული პირველი შეხვედრა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზუგდიდში თამაში თითქმის ყველა გუნდს მეტად უძნელდება და არც არბიტრებს ეხატებათ გულზე იქაური მატჩების განსჯა.

მცხეთა
23 აგვისტო
17 საათი
არმაზი
3000

## თსუ — დილა

მსაჯები
ა. შალამბერიძე
კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი)
ზ. დოლიძე (თბილისი)
ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)
სფფ-ს დელეგატი
ვ. მახარაძე

სტუდენტებმა მართლაც ცუდად დაიწყეს ეს სეზონი და ჩემპიონატის აუტსაიდერად მოგვევლინნენ. ამას ერთგვარი გამართლებაც აქვს, რადგან თსუ-მ მოსამზადებელი პერიოდი, ფაქტობრივად, ჩააგდო და გუნდი ბევრმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. თითქმის იგივე სიტუაციაში აღმოჩნდა სეზონის წინ გორის „დილაც“, მაგრამ ქართლელებმა რამდენიმე საკონტროლო მატჩის ჩატარება მაინც მოახერხეს და არცთუ ურიგო გუნდით წარდგნენ მეათე ჩემპიონატში.

ეს შეხვედრა მეტად პრინციპული იქნება, რადგან გაბელიას შეგირდებს უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვთ და დამარცხების შემთხვევაში აშკარად პირველი ჯგუფიდან გავარდნის მთავარი კანდიდატები გახდებიან. ასე რომ, „არმაზზე“ ამ თამაშის საცქერლად მისულნი ერთობ საინტერესო პაექრობას მიადევნებენ თვალს.

საქართველოს ჩემპიონატი
2 ტური

14 აგვისტო, პარასკევი

| | |
|---|---|
| არსენალი | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |

15 აგვისტო, შაბათი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 5 |
| კოლხეთი | 1 |
| გურია | 2 |
| თსუ | 0 |
| დილა | 2 |
| სიონი | 0 |
| სამგურალი | 1 |
| გორდა | 0 |
| დინამო | 5 |
| მერანი | 1 |

16 აგვისტო, კვირა

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 3 |
| ოდიში | 0 |
| იბერია | 3 |
| ბათუმი | 1 |

ფოთი
22 აგვისტო
17 საათი
ფაზისი
6000

## კოლხეთი — გურია

მსაჯები
მ. მალალურაძე
ს. შალამბერიძე
ვ. ჩოჩიშვილი
ა. ქარქაშაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი
გ. პეტრიაშვილი

ცრვენაზვეზდული კოშმარიდან ჯერაც გამოუფხიზლებელი „კოლხეთი“ უცილობლად შეეცდება, რეაბილიტაცია მოახდინოს საკუთარი გულშემატკივრის თვალში, რომელსაც გასულ ტურში ქუთაისში განცდილმა კატასტროფულმა მარცხმა უფრო გაუტეხა გული. ბოლო დროს ფოთელები შეეგუენ დიდი ანგარიშით დამარცხებას, აქედან გამომდინარე, აღმავლობის გზაზე მდგომ „გურიასთან“ მათი შეხვედრა ერთგვარად საინტერესო ხასიათს იძენს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ჯონი ჯანელიძის თავკაცობით გურულები შეკრული და მიზანდასახული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებენ, ამის საუკეთესო მაგალითად წინა ტურში მათ მიერ თსუ-ს ძლევაც გამოდგება. მაკლედ, შეხვედრის წინაპირობის გათვალისწინებით, ამ მატჩში ნებისმიერ შედეგს უნდა ველოდეთ და ჩვენს ყურადღებასაც ეს აორკეცებს.

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 4 - | ხომერიკი | დინამო |
| 3 - | აშვეთია | დინამო |
| 2 - | ვამაკიძე | ტორპედო |
| | იონანიძე | ტორპედო |
| | კაიდარაშვილი | დილა |
| | დ. მახარაძე | გურია |
| | მელაძე | გურია |
| | შაკიაშვილი | სიონი |
| | დ. ჯანაშია | ტორპედო |

### IV ტური

28 აგვისტო. პარასკევი
არსენალი — იბერია

29 აგვისტო. შაბათი
გურია — ოდიში
დილა — კოლხეთი
მერანი — გორდა
სამგურალი — თსუ

30 აგვისტო. კვირა
ტორპედო — ბათუმი
დინამო — სიონი

31 აგვისტო. ორშაბათი
ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 დინამო | (1) | 2 | 2 | 0 | 0 | 10:2 | +8 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 10:2 | +8 | 6 | — | — | — | — | — | — | — |
| 2 ტორპედო | (2) | 2 | 2 | 0 | 0 | 8:2 | +6 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 8:2 | +6 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | +2 | 3 |
| 3 იბერია | (4) | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | +3 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | +2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 |
| 4 ლოკომოტივი | (10) | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | +3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | +3 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 5 გურია | (5) | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | +2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | +2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 6 დილა | (7) | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | +2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | +2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 7 ვიტ ჯორჯია | (3) | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | +1 | 4 | — | — | — | — | — | — | — | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | +1 | 4 |
| 8 სამგურალი | (12) | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | +1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 9 გორდა | (8) | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | −1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 |
| 10 სიონი | (6) | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | −2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | −2 | 0 |
| 11 კოლხეთი | (9) | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | −4 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | −4 | 0 |
| 12 მერანი | (11) | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | −4 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | −4 | 0 |
| 13 არსენალი | (16) | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | −4 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | −4 | 0 |
| 14 ბათუმი | (14) | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | −3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | −2 | 0 |
| 15 თსუ | (15) | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | −4 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | −2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | −2 | 0 |
| 16 ოდიში | (13) | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | −4 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | −3 | 0 |

# მეფე მოკვდა. ვის გაუმარჯოს?

ერთ დროს მას აღმერთებდნენ, იგი უყვარდათ. კაცმა რომ თქვას, გულშემატკივრებს მისი სიყვარული არც განელებიათ, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა — ახლა მხოლოდ იხსენებენ მის თამაშს, მისდამი გულში შემონახული გრძნობები ავსებთ, მაშინ კი უყურებდნენ, უყვარდათ, ტკბებოდნენ...

ერიკ კანტონა ფეხბურთს 1997 წელს გამოეთხოვა. მაშინ ეს ამბავი ქომაგებისთვის, განსაკუთრებით კი „მანჩესტერ იუნაიტედის" ფანებისთვის თავზარდამცემი აღმოჩნდა. ისინი ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ ერიკი მათ გულს ასე დაწყვეტდა. დაუჯერებელი იყო მისი ფეხბურთიდან წასვლა, მით უმეტეს მაშინ, როცა მან კარიერის პიკს უწია, მაგრამ ხშირად ხდება ის, რასაც ნაკლებად მოელი...

შარშან გაზაფხულზე ერიკ კანტონამ კარიერის დასრულების მოახლოვება აუწყო ქომაგთ, რამდენიმე ხანში კი დანაპირები აასრულა. კანტონას უეცარი წასვლა პრემიერლიგის მეფის გარდაცვალებას ჰგავდა. თუ მეფე კვდება, მემკვიდრეს ხელადვე დიდი ზარ-ზეიმით ხვდებიან. მაგრამ ამ შემთხვევაში ასე არ იყო — მეფე ერიკ I წავიდა და მემკვიდრე არ დაუტოვებია, დარჩნენ უბრალოდ ნაზირ-ვეზირები, რომელთაც ერთმანეთისაგან ბევრი არაფერი გამოარჩევდათ.



მეფე მოკვდა, მხოლოდ მანჩესტერელთათვის

დგება ცხოვრებაში მომენტი, როდესაც გადაწყვეტილება უნდა მიიღო, გნებავთ თამამი, გნებავთ ჩვეულებრივი. შენი ბედი შენვე უნდა გადაწყვიტო. მაშინ, თითქმის წელიწადნახევრის უკან, ფრანგმა ვარსკვლავმა იგრძნო, რომ მისი დრო ნელ-ნელა, მაგრამ უკვე შესამჩნევად ილეოდა. აღმართს მუდამ მოსდევს დაღმართი, ეს ბუნების კანონია. კანტონამაც დაინახა თუ არა, ქვემოთ მიმავალ ბილიკზე დაგორებას ისევ გზიდან გადასვლა ამჯობინა. მას უნდოდა, რომ გულშემატკივრებს იგი ლიდერად დამახსოვრებოდა და არა მაჩანჩალა, დაჩანჩაკებულ მოხუცად, რომელიც დროის დინებას შეებრძოლა.

კანტონა წავიდა. მთლიანობაში ფეხბურთმა, განსაკუთრებით ინგლისურმა ფეხბურთმა და უფრო კონკრეტულად „მანჩესტერ იუნაიტედმა", გნებავთ, ვარსკვლავი, გნებავთ ლიდერი მოისაკლისა. უთავკაცოდ დარჩენილ კლუბს თითქოს ბევრი არაფერი დაჰკლებია, მაგრამ ძალა, თან არცთუ პატარა მაინც მოისაკლისა. შედეგიც სათანადო იყო — ჩემპიონობა, რომელსაც წინა ორი წლის განმავლობაში „მანჩესტერ იუნაიტედი" მუდამ იხვეჭდა, სხვას ხვდა წილად, ალისფერი ეშმაკუნები კი მხოლოდ მეორეადგილოსნობით დაკმაყოფილდნენ.

რამდენიმე წლის წინ კანტონას დარად მოიქცა კალათბურთის ღმერთად შერაცხული მაიკლ ჯორდანი. დიდების შარავანდედით მოსილმა კალათბურთიდან წასვლის თაობაზე განაცხადა, სიტყვა საქმედ აქცია და ლამის მთელი ამერიკა ძაძებით შემოსა. მაიკლი ორიოდ წლის შემდეგ მაინც დაბრუნდა და კლუბს დიდება დაუბრუნა, მაგრამ მისგან განსხვავებით ერიკ კანტონას ფეხბურთში დაბრუნება ძალიან საეჭვოა, გამორიცხული კი ამქვეყნად არაფერია.

თავის დროზე იმავე მაიკლ ჯორდანმა კალათბურთიდან წასვლის მიზეზად სპორტისადმი ინტერესის დაკარგვა დაასახელა — როცა სიამოვნებას ველარ იღებ, ჯობს სხვაგან სცადო ბედიო. მაიკლმა კალათბურთში ყველაფერი მოიგო, არ დარჩა ჯილდო, მას არ მოეხვეჭა. ეგებ კანტონას წასვლის მიზეზიც ეს იყო — ფრანგმა „დამპყრობელმა" ხომ პრემიერლიგა ხუთჯერ დაიმორჩილა! ამას გარდა უამრავი სხვა თასი თუ ჯილდოც მოიპოვა. შესაძლოა, მას ინგლისური ფეხბურთის მიმართ გაუქრა ინტერესი. ვინ იცის...

— „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" კანტონა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ მოთამაშე. ის გუნდის სული და გონი იყო. უბრალოდ დაუფიქრდით — როდესაც კანტონა დისკვალიფიცირებული იყო, კლუბმა ჩემპიონობა დაკარგა. ერიკის წასვლის შემდეგ წელიწადს მანჩესტერი კვლავ ვერ გახდა ჩემპიონი, დანარჩენ წლებში კი, როცა კანტონა თამაშობდა, ფერგიუსონის ბიჭებს ვერავინ სჯობდა. „მანჩესტერ იუნაიტედი" კანტონას გარეშე სულ სხვა კლუბია, შედარებით სუსტი, ვიდრე მანამდე — სერ ბობი ჩარლტონს, ოლდტრეფორდელი კლუბის, ერთ-ერთ უგამოჩენილეს ფეხბურთელს კანტონას შეფასება არ გასჭირვებია. გამოცდილი ჩარლტონი მართალიცაა — „მანჩესტერ იუნაიტედი" ფრანგი ვარსკვლავის გარეშე სულ სხვა, შედარებით სუსტი კლუბია იმასთან შედარებით, რაც კანტონას დროს იყო.

— ერიკი უცნაური პიროვნებაა და ჩემთვის იგი მუდამ უცნაურად დარჩება. ძნელია, მას გაუგო. არა, იმას სულაც არ ვგულისხმობ, თითქოს მასთან ურთიერთობა მიჭირდა, პირიქით, შესანიშნავი დამოკიდებულება გვაქვს. უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ იგი მოულოდნელობებით აღსავსე კაცია. ის თავის ცხოვრებით ცხოვრობს. ყველასგან განსხვავებული ცხოვრებით — „მანჩესტერ იუნაიტედის" წარმატებები ბოლო ათწლეულში ძირითადად შოტლანდიელ მწვრთნელ ალექს ფერგიუსონთანაა დაკავშირებული. ზემოთქმული სიტყვებიც მას ეკუთვნის. სხვათა შორის, როდესაც 1992 წელს „მანჩესტერ იუნაიტედმა" 1,9 მილიონ დოლარად „ლიდს იუნაიტედისგან" კანტონა შეიძინა, ფერგიუსონი „ალისფერი ეშმაკუნების" თავკაცი გახლდათ. ცბიერი სქოთი მწვრთნელი ამ ტრანსფერს დღემდე კარიერაში უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს.

— „მანჩესტერ იუნაიტედის" ღირსება ასობით ფეხბურთელს დაუცავს, მაგრამ კანტონა მაინც სხვა იყო. ასეთები ათწლეულებში ერთხელ ჩნდებიან. ასეთი იყო ბობი ჩარლტონი, ასეთი იყო ჯორჯ ბერტი, ასეთი გახლდათ დენის ლოუ, მათ შორისაა კანტონაც. ისინი ჩვენი კლუბის ღმერთები არიან — ტომ მაკმილანმა, კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ერიკ კანტონა ღირსად ჩათვალა, გუნდის ლეგენდათა შორის დაესახელებინა. მაკმილანი არც შემცდარა.

...ამ შუა ზაფხულში ფეხბურთიდან წელიწადნახევრის წინ წასული კაცი რატომ გაგვახსენდა? რამდენიმე დღის წინ „ოლდ ტრეფორდზე" კანტონა დაბრუნდა — მატჩი 40 წლის წინ, მიუნხენის ავიაკატასტროფაში ტრაგიკულად დაღუპული მანჩესტერელების ხსოვნას ეძღვნებოდა.

**ირაკლი იაშვილი**

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისის** ლიგის თასის პირველი წრის საპასუხო მატჩები: ბრაიტონი — ნორტჰემპტონი 1:1 (პირველი შეხვედრა დასრულდა 1:2), მანჩესტერ სიტი — ნოტს ქაუნთი 7:1 (2:0), მილუოლი — ბირმინგემი 1:1 (0:2), სტოკი — მაკლსფილდი 1:0 (1:3). ინგლისის ნაკრებში ფეხბურთელთა გამოძახების გამო ორი შეხვედრა გადაიდო — კრისტალ პალასი — ტორქუეი 25 აგვისტოს, ხოლო ქუინს პარკ რეინჯერსი — უოლსოლი 26 აგვისტოს გაიმართება.

**შოტლანდიის** ლიგის თასის მესამე წრის შეხვედრები: ეარდრიონიანსი — სელტიკი 1:0, ჰარტსი — რეითი 4:2 დ.დ, ჰიბერნიანი — აბერდინი 1:0, როს ქაუნთი — დანდი იუნაიტედი 2:0 დ.დ.

**ნორვეგიის** ნაკრებისა და „ბლექბერნ როვერსის" მცველმა, ტორე პედერსენმა განაცხადა, რომ თუ გუნდში ძირითად შემადგენლობაში ათამაშებენ, იგი მთელ საფეხბურთო კარიერას იქ გაატარებს. „ბლექბერნ ივნინგ ტელეგრაფთან" საუბრისას პედერსენმა აღნიშნა: „თუ მე ძირითადში თამაშის საშუალებას მომცემენ, ბედნიერი ვიქნები და აქ დავრჩები, ხოლო თუ კოლინ ჰენდრი „ბლექბერნში" დარჩება, მაშინ კლუბის დატოვება მომიწევს".

**ზიმბაბვეს** ნაკრებისა და „ლივერპულის" ყოფილი მეკარე, ბრიუს გრობელაარი ფეხბურთს დაუბრუნდა და თავის კარიერას ინგლისის მოკრძალებულ კლუბ „ჩესჰემში" გააგრძელებს. 40 წლის გოლკიპერი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ დიდ სკანდალში იყო გახვეული მატჩების გაყიდვის გამო, სადებიუტო შეხვედრას შაბათს გამართავს ლონდონის „ენფილდთან". გრობელაარმა ინგლისის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან კლუბ „ლივერპულში" 14 სეზონი ჩაატარა და მასთან ერთად საკმაოდ ბევრი შინაური თუ საერთაშორისო ჯილდოც მოიპოვა. 1994 წელს იგი „საუთჰემპტონში" გადავიდა და ორი სეზონი იქ გაატარა, რის შემდეგაც სამი კლუბი გამოიცვალა — „პლიმუტი", „ოქსფორდი" და „ოლდჰემი".

**ბრაზილიის** ნაკრებისა და „პარი სენ ჟერმენის" ყოფილმა ფეხბურთელმა, წარსულში ცნობილი ბრაზილიელი ნახევარმცველის, სოკრატესის ძმამ რაიმ მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ექვსი თვის განმავლობაში თამაშს ვეღარ შეძლებს: „მას ექვსი თვე დასჭირდება მკურნალობისთვის, რის შემდეგაც უპრობლემოდ დაუბრუნდება მოედანს" — განაცხადა მისმა ექიმმა. რაიმ მუხლის ტრავმა ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩში პირველივე წუთზე მიიღო, როცა მისი კლუბი „სან-პაულუ" „კრუზეიროს" ხვდებოდა. საფრანგეთში გატარებული საკმაოდ წარმატებული წლების შემდეგ იგი მაისში სამშობლოში დაბრუნდა. ნაკრებში რაიმ უკანასკნელად „მარაკანაზე" ითამაშა არგენტინელებთან წაგებულ 0:1 ამხანაგურ მატჩში.

**გერმანიის** ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველი მარიო ბასლერი შაბათს ბუნდესლიგის ჩემპიონატის მეორე ტურში „დუისბურგის" წინააღმდეგ გამოვა მოედანზე. შეგახსენებთ, რომ 29 წლის ფეხბურთელმა სეზონის წინ მიღებული ტრავმის გამო პირველ ტურში ვერ იასპარეზა. „სამწუხაროდ, „ვოლფსბურგის" წინააღმდეგ გუნდს ვერ დავეხმარე, თუმცა ახლა ბედნიერი ვარ, რადგან მუხლი აღარ მაწუხებს, თავს სრულიად ჯანმრთელად ვგრძნობ და ექიმებმაც თამაშის ნება დამრთეს" — განაცხადა ბასლერმა.

**ირანის** ნაკრების მწვრთნელი, ჯალალ თალები გადადგა. მიზეზად თალებიმ ოჯახური პირობები დაასახელა, მაგრამ გავრცელდა ხმები, თითქოს მასზე გარკვეულმა ძალებმა მოახდინეს ზემოქმედება. ირანელმა სპეციალისტმა ეს თანამდებობა მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ხორვატი ტომისლავ ივიჩისგან გადაიბარა, რომელიც ამხანაგურ მატჩებში განცდილი მარცხების გამო დაითხოვეს. თალების ხელმძღვანელობით ეროვნულმა გუნდმა საფრანგეთში დამაკმაყოფილებლად იასპარეზა. ჯგუფში იუგოსლავიასთან 0:1, გერმანელებთან 0:2 დამარცხდა, ხოლო აშშ-ის ნაკრებს 2:1 მოუგო. ამ მატჩს წმინდა სპორტულის გარდა პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა, რაზეც შეხვედრის შემდეგ ქვეყნის დედაქალაქის მთავარ მოედანზე შეყრილი ათიათასობით აზიელის უდიდესი სიხარულიც მოწმობს. ჩემპიონატის შემდეგ ნაკრების თამაშით კმაყოფილმა თალებიმ სამომავლო გეგმებზეც დაიწყო საუბარი, მაგრამ არ დასცალდა. მისი მემკვიდრე ირანული ფეხბურთის მამებს ჯერჯერობით არ დაუსახელებიათ.

**გერმანელი** ტომას ჰელმერის განცხადებით, იგი ამიერიდან ნაკრების ღირსებას აღარ დაიცავს. „ეროვნულს ახალი სისხლი სჭირდება, დროა, ჩემი ადგილი ახალგაზრდებმა დაიკავონ. ამით ფოგთსაც დავეხმარები გუნდის განახლებაში. გარდა ამისა, მზად ვარ, ბიჭებს გამოცდილება გავუზიარო და ნაკრებში დამკვიდრებაშიც დავეხმარო" — განუმარტა თავისი გადაწყვეტილება „ბაიერნის" კაპიტანმა ჟურნალისტებს, თან დაამატა, უახლოეს დღეებში ფოგთსაც შევხვდები და ყველაფერს დაწვრილებით ავუხსნიო. 33 წლის მცველს ნაკრებში 68-ჯერ უასპარეზია.

**გერმანული** „ბოხუმი" ჩემპიონატის მეორე ტურში „ჰამბურგს" ახალშეძენილი მაურიციო გაუდინიოს გარეშე ეწვევა. კლუბის ექიმის, იოახიმ შუბერტის თქმით, გაუდინიოს მყესი აქვს დაზიანებული. 31 წლის ფეხბურთელი გასულ პარასკევს ვარჯიშზე დაშავებულა, მაგრამ მიუხედავად ამისა, „ფრაიბურგის" წინააღმდეგ მაინც ითამაშა და ტრავმა გაიმიზეზა. ახლა კი მინიმუმ ერთი კვირა ვერ ივარჯიშებს. „მან „ფრაიბურგთან" თამაშით დათვური სამსახური გაგვიწია, რადგან ახლა სულ ცოტა, ერთი თამაშით გამოგვაკლდა. თუმც ამაში ბრალი კლუბის ხელმძღვანელებსაც მიგვიძღვის — მისი მოედანზე გასვლა ჩვენც ძლიერ გვსურდა" — განუცხადა „ბოხუმის" მწვრთნელმა, კლაუს ტოპმიოლერმა ადგილობრივ ტელევიზიას.

**გერმანიის** ეროვნულ ნაკრებში დიდი ცვლილებებია. ახალ კანდიდატთა შორის „ლევერკუზენში" მოთამაშე ბრაზილიელ პაოლო რინკის დასახელებით ფოგთსმა საზოგადოება მეტად გააოცა, გუშინ კი მათ რიცხვს თურქი მუსტაფა დოგანიც მიუმატა. 22 წლის დოგანი გერმანიის ქალაქ დუისბურგშია დაბადებულ-გაზრდილი. ორი წელია, იგი თურქული „ფერენბაჰჩეს" ღირსებას იცავს, მაგრამ მისი კარგი თამაში ეროვნულის თავკაცს არც იქ გამორჩენია. აღსანიშნავია, რომ დოგანს თავის დროზე გერმანიის 21 წლამდე ნაკრებშიც უთამაშია.

**ინგლისის** ნაკრებისა და „ნიუკასლ იუნაიტედის" ნახევარმცველი დევიდ ბეტი გასული სეზონის უკანასკნელ მატჩში მიღებული წითელი ბარათისთვის, რომელიც მისთვის სეზონში მესამე იყო, პრემიერლიგის საწყის 6 შეხვედრაში დისკვალიფიცირებულია. ეს წითელი ბარათი ბეტიმ „ბლექბერნთან" თამაშისას მიიღო და ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილებით ხუთი მატჩი უნდა გამოეტოვებინა, მაგრამ მან მსაჯ დევიდ ერლისაც მიაყენა შეურაცხყოფა, რის გამოც კიდევ ერთი თამაშით დისკვალიფიკაცია დაუმატეს. გარდა ამისა, ფეხბურთელმა ფინანსურადაც იზარალა — 1500 გირვანქით დააჯარიმეს.

**ინგლისურმა** „ჩელსიმ" „ნოტინგემ ფორესტისგან" მიიღო წინადადება, გუნდის ნორვეგიელი ლეგიონერი ტორე ანდრე ფლო ჰოლანდიელ თავდამსხმელ პიერ ვან ჰოიდონკში გაეცვალონ, რაზეც სასტიკი უარი განაცხადა „ფლო დიდებული ფეხბურთელია და იგი ჰოიდტონკის ადგილს ღირსეულად დაიკავებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, „ჩელსი"ამ ვარიანტით არ დაინტერესდა" — განაცხადა „ფორესტის" მენეჯერმა დეივ ბასეტმა. ამავდროულად, ლონდონური კლუბის იტალიელმა მოთამაშე-მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ ნოტინგემელებს მცველ მაიკლ დაბერის სანაცვლოდ 2,5 მილიონი გირვანქა (4 მილიონი დოლარი) შესთავაზა.

**ინგლისის** ნაკრების ყოფილი კაპიტანი დევიდ პლატი ამიერიდან ქვეყნის 18 და 19 წლამდე ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ იმუშავებს, განაცხადა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ. ახალგაზრდულ ნაკრებებს ამჟამად სათავეში ჰოვარდ ვილკინსონი უდგას. რაც შეეხება პლატს, მას ინგლისის ნაკრებში 62 მატჩი აქვს გამართული, ფეხბურთელის კარიერა შარშან დაასრულა, ხოლო მისი საკლუბო ბიოგრაფია საკმაოდ მდიდარია — სამშობლოში იგი სამი კლუბის „ქრიუს", „ასტონ ვილას" და „არსენალის", ხოლო იტალიაში „ბარის", „იუვენტუსის" და „სამპდორიას" ღირსებას იცავდა. „მოხარული ვარ, ვილკინსონმა და ფეხბურთის ასოციაციამ ასეთი ნდობა რომ გამომიცხადეს. ფეხბურთელობისას ჩემს შესაძლებლობებს 100 პროცენტით ვავლენდი, იგივეს შევეცდები მწვრთნელად მუშაობისასაც" — აღნიშნა პლატმა.

**იტალიური** „ინტერის" მცველმა ფაბიო გალანტემ ბოდიში მოიხადა. იყო კიდევაც მოსახდელი, მან ხომ სასტუმროს ნომრიდან წყლის ბომბი ქუჩაში ისროლა, მიმავალი მანქანის მინა ჩალეწა და ორი ბავშვი დააზიანა.ბავშვები 11 და 12 წლის და ძმა გახლდათ.

**ინგლისის** პრემიერლიგაში წლეულს აღზევებულ „მიდლსბროს" ხელმძღვანელობის დიდი იმედი აქვს, რომ „ნოტინგემ ფორესტიდან" 31 წლის ცენტრალურ მცველ კოლინ კუპერს გადაიბირებს. ეს უკანასკნელი უკვე ჩავიდა მიდლსბროში კლუბთან მოსალაპარაკებლად. სავარაუდოდ, თუ გარიგება მოხდა, კუპერის სანაცვლოდ „ფორესტი" 2,5 მილიონ გირვანქას (4 მილიონი დოლარი) მიიღებს. სხვათა შორის, მან თავისი პროფესიული კარიერა 13 წლის წინ სწორედ „მიდლსბროში" დაიწყო.

**იტალიის** ჩემპიონის, ტურინის „იუვენტუსის" განცხადებით, მის სტადიონზე, „დელე ალპი" რომ ჰქვია, უკვე გაყიდულია 40000 აბონემენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ მალე რეკორდი დაემხობა, რომელიც 40 338-ის ტოლია. მოგეხსენებათ, ქვეყნის 25 გზის ჩემპიონი, ყოველთვის ყველაზე მეტ მაყურებელს იკრებდა თავის გარშემო. და მაინც, სტატისტიკა ამბობს, რომ ტურინელ ქომაგთა უმეტესობა თამაშების ტელევიზორში ცქერას ამჯობინებდა. „დელე ალპიზე" 60 000 მაყურებელი ეტევა.

**ბრაზილიის** ჩემპიონატში „სანტოსმა" 4:4 ითამაშა „ატლეტიკო მინეიროსთან", „გუარანიმ" 2:1 მოუგო „ამერიკა ნატალს", „პარანასა" და „ბრაგანტინოს" შეხვედრა ფრედ 2:2 დასრულდა,„პონტე პრეტას" და „ატლეტიკო პარანაენსეს" ორთაბრძოლა კი პირველის გამარჯვებით 2:0 დამთავრდა.

**ინგლისში** „ასტონ ვილამ" ყაბული თქვა „მანჩესტერ იუნაიტედის" წინადადებაზე, მისთვის 19,5 მილიონ დოლარად მიეყიდა ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრების მოთამაშე დუაიტ იორკი. მანჩესტერიდან გამოჟონილი ხმების თანახმად, სანამ ბირმინგემის გუნდი თანხმობას განაცხადებდა, იორკი უკვე მანჩესტერში, „იუნაიტედის" ოფისში იჯდა და მის შოტლანდიელ მწვრთნელს ალექს ფერგიუსონს ხელფასის პირობებს უთანხმებდა. იმავე „ასტონ ვილამ" გაყიდა კიდევ ერთი ფეხბურთელი, დევიდ ანსუორსი, რომელიც თავის ძველ კლუბს „ევერტონს" დაუბრუნდა. „ევერტონისგან" „ვილამ" 4,8 მილიონი დოლარი მიიღო. თურმე ბირმინგემელთა მწვრთნელს ჯონ გრეგორის მოთამაშისთვის უთქვამს, ცოლს დაეკითხე და თუ ის დაგთანხმდება ლივერპულის გუნდში წასვლაზე, წადიო.

**იამაიკის** ნაკრების წევრი, მსოფლიოს მეთექვსმეტე ჩემპიონატის მონაწილე ონანდი ლოვი შესაძლოა მომავალ სეზონში პრემიერლიგის კლუბ „უიმბლდონში" აღმოჩნდეს. „რეგი ბოიზის" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე აგერ უკვე ერთი კვირაა ინგლისელებთან ერთად ემზადება მომავალი სეზონისთვის. უიმბლდონელთა მწვრთნელმა ჯო კინარმა ამასწინათ განაცხადა ლოვი კარგად კია მომზადებული, მაგრამ ჩვენ „უიმბლდონის" პრესტიჟს გავუფრთხილდებით, მოგეხსენებათ ჩვენს გუნდში სუსტ ფეხბურთელებს არ ვაჭაჭანებთო. თუ მოხდა და ლოვი „უიმბლდონის" ხელმძღვანელობამ შეიძინა, იგი კლუბის მესამე იამაიკელი მოთამაშე გახდება თანამემამულე რობი ერლისა და მარკუს გეილის შემდეგ. საუბარი სამწლიან კონტრაქტზეა.

# ნეტავ რატომ დაგვაკლეს?

19 აგვისტოს ფიფასა და „კოკა-კოლას“ მიერ ერთობლივად შედგენილი მორიგი რეიტინგი გამოცხადდა. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გამოქვეყნებულისგან განსხვავებით მასში უმნიშვნელო ცვლილებებია, რაც ძირითადად საერთაშორისო ამხანაგური მაჩების ნაკლებობამ განაპირობა. პირველ ადგილზე კვლავინდებურად ბრაზილიის ნაკრებია, მეორეზე — საფრანგეთი, მესამეზე — გერმანია. ათეულში მხოლოდ ერთი ცვლილებაა. მეცხრე ადგილზე მყოფმა იტალიის ნაკრებმა მერვეადგილოსან ჰოლანდიას გაუცვალა ადგილი.

სამწუხაროდ, ორი ადგილით ჩამოქვეითდა საქართველოს ნაკრები, რომელსაც ივლისის რეიტინგში 44-ე ადგილი ეჭირა. ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელთა თქმით, 12 აგვისტოს აზერბაიჯანთან გამართული შეხვედრა ფიფას ეგიდით ჩატარებულ ოფიციალურ მატჩად არ უნდა ჩათვლილიყო, ამიტომ ცოტა გასაკვირია მსოფლიოს ფეხბურთის მესვეურთა საქციელი, როცა ჩვენს ნაკრებს 0,95 ქულა ჩამოაკლეს. არადა, იგივე რაოდენობის ქულები რომ დაგვრჩენოდა, ისრაელთან ერთად 41-ე ადგილს გავიყოფდით, ცხადია, ამ რეიტინგში არ შესულა უკრაინასთან 0:4 განადგურება, რომელიც ასევე 19 აგვისტოს მოხდა.

რაც შეეხებათ სხვა ქვეყნებს, მათგან ყველაზე დიდი ნახტომი ჰაიტის ნაკრებმა გააკეთა. მათ 19 ადგილით აიწაცვლეს და 93-ზე დამკვიდრდნენ. 17 საფეხბურთო ალზევდნენ მალაველები, რომლებიც ახლა 83-ენი არიან. ორმოცდაათეულში შესვლა მოახერხა ტრინიდადი და ტობაგოს ნაკრებმა, რომელმაც 59-დან 47-ე ადგილზე გადაინაცვლა.

ფიფასა და „კოკა-კოლას“ ახალი რეიტინგი 1998 წლის 16 სექტემბერს გამოქვეყნდება.

| | | ქულა | 15.07.98 | 01.01.98 |
|---|---|---|---|---|
| 1. | ბრაზილია | 73.70 | 1 | (1) |
| 2. | საფრანგეთი | 70.06 | 2 | (6) |
| 3. | გერმანია | 68.54 | 3 | (2) |
| 4. | ხორვატია | 66.58 | 4 | (19) |
| 5. | არგენტინა | 65.26 | 5 | (17) |
| 6. | ჩეხეთი | 64.71 | 6 | (3) |
| 7. | იუგოსლავია | 64.12 | 7 | (20) |
| 8. | იტალია | 64.01 | 9 | (9) |
| 9. | ჰოლანდია | 63.67 | 8 | (22) |
| 10. | ინგლისი | 62.59 | 10 | (4) |
| 11. | ნორვეგია | 62.17 | 11 | (13) |
| 12. | მექსიკა | 61.96 | 12 | (5) |
| 13. | რუმინეთი | 60.21 | 13 | (7) |
| 14. | ესპანეთი | 59.77 | 14 | (11) |
| 15. | ჩილე | 58.91 | 15 | (16) |
| 16. | მაროკო | 58.50 | 16 | (15) |
| 17. | დანია | 57.72 | 18 | (8) |
| 18. | აშშ | 57.26 | 19 | (26) |
| 19. | კოლუმბია | 56.70 | 17 | (10) |
| 20. | ეგვიპტე | 56.37 | 20 | (32) |
| 21. | კორეა | 55.42 | 21 | (27) |
| 22. | იაპონია | 55.32 | 22 | (14) |
| 23. | ზამბია | 54.97 | 24 | (21) |
| 24. | ავსტრია | 54.94 | 23 | (25) |
| 25. | პარაგვაი | 54.60 | 26 | (29) |
| 26. | ტუნისი | 54.11 | 25 | (23) |
| 27. | იამაიკა | 53.14 | 29 | (39) |
| 28. | სამხ. აფრიკა | 53.01 | 27 | (31) |
| 29. | რუსეთი | 53.00 | 28 | (12) |
| 30. | ბელგია | 52.14 | 31 | (41) |
| 31. | შვედეთი | 51.37 | 30 | (18) |
| 32 | საუდეთი | 50.78 | 33 | (33) |
| 33. | სლოვაკეთი | 50.23 | 32 | (34) |
| 34. | ურუგვაი | 50.10 | 35 | (40) |
| 35. | ბულგარეთი | 49.54 | 34 | (36) |
| 36. | შოტლანდია | 48.77 | 36 | (37) |
| 37. | კამერუნი | 48.42 | 40 | (53) |
| 38. | ირანი | 48.28 | 37 | (46) |
| 39. | ავსტრალია | 48.19 | 38 | (35) |
| 40. | პოლონეთი | 46.43 | 48 | (48) |
| 41. | პერუ | 45.97 | 43 | (38) |
| 42. | ისრაელი | 45.95 | 39 | (61) |
| 43. | პორტუგალია | 45.74 | 42 | (30) |
| 44. | ეკვადორი | 45.43 | 41 | (28) |
| 45. | ტაილანდი | 45.30 | 46 | (54) |
| 46. | საქართველო | 45.00 | 44 | (69) |
| 47. | ტრინიდადი და ტობაგო | 44.78 | 59 | (55) |
| 48. | ირლანდია | 44.65 | 47 | (47) |
| 49. | სპილოს ძვლის ნაპირი | 44.60 | 45 | (52) |
| 50. | ჩინეთი | 44.35 | 49 | (55) |

# ლემერი კმაყოფილია

## ამხანაგური მატჩების მიმოხილვა

**ნორვეგია 0:0 რუმინეთი**

**კვიპროსი 3:2 ალბანეთი**

0:1 პაქსლი (59), 0:2 ბუში (60), 1:2 ენგომიტისი (61), 2:2 იოახიმი (82), 3:2 იოანუ (89)

**ავსტრია 2:2 საფრანგეთი**

0:1 ლასლანდი (16), 1:1 ჰაასი (42), 2:1 ვასტიჩი (76პ), 2:2 ბოგოსიანი (84)

საფრანგეთი: ლამა, ვაირელი, ლებეფი (გომა 79), ტურამი, ლიზარაზუ (კანდელა 46), კარემბუ, დეშამპი (დეუ 46), ზიდანი (ჯორკაეფი 46), ბოგოსიანი, ანრი (პირესი 65), ლასლანდი (მორისი 81)

**შვედეთი 1:0 რუსეთი**

1:0 პეტერსონი (3)

**ჩეხეთი 1:0 დანია**

1:0 რადა (8)

**სლოვაკეთი 0:0 ფინეთი**

**პორტუგალია 2:1 მოზამბიკი**

1:0, 2:0 რუი კოშტა (55, 58), 2:1 არტური (77)

**უნგრეთი 2:1 სლოვენია**

**ლიტვა 0:3 ბელარუსი**

19 აგვისტოს ევროპაში რამდენიმე ამხანაგური და ევროპის შესარჩევი ტურნირის მეორე მატჩი გაიმართა. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ დღეს საქართველოს ნაკრები კიდევ ერთხელ შერცხვა, თუმცა ამაზე გუშინდელ „სარბიელში“ ვრცლად გიამბეთ, ამიტომ ყურადღებას დანარჩენ მატჩებზე გავამახვილებთ.

პირველ ყოვლისა, მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთის ნაკრებისა და ავსტრიელთა შეხვედრაზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა. ვენაში, „ერნსტ ჰაპელის“ სტადიონზე, ფრანგებმა შინ ტრიუმფალური გამოსვლის შემდეგ პირველად ითამაშეს, თანაც ამ შეხედრაში მათი ახალი თავკაცის — როჟე ლემერის დებიუტიც შედგა. მატჩი საკმაოდ დაბაბული და თვალსასეირო გამოდგა და გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ფრანგთა ყველაზე სუსტ რგოლში, თავდასხმაში, ახალი ფეხბურთელი ლილიან ლასლანდი გამოჩნდა, რომელმაც საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. პირველი გოლიც მის ანგარიშზეა: ლასლანდმა ისარგებლა მოწინააღმდეგის დაცვის შეცდომით და აუღელვებლად დალაშქრა ავსტრიელთა და იტალიური „რომას“ გამოცდილი მეკარის, მიხაელ კონსელის კარი. კონსელი ამ დღეს ნაკრებში 43-ე მატჩს ატარებდა. მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება პირველივე ტაიმში, 42-ე წუთზე მოახერხეს, როდესაც „შტურმში“ მოთამაშე ივიცა ვასტიჩისა და მარიო ჰაასის მიერ გათამაშებულ კომბინაციას ამ უკანასკნელის მარცხენა ფეხით ძლიერად დარტყმული მოჰყვა. ჰაასმა გუშინწინ მოედანზე ტონი პოლსტერის ადგილი დაიკავა, გამოცდილი ფორვარდის არყოფნა არავის აგრძნობინა და მეორე ტაიმშიც ძლიერ შეაწუხა საფრანგეთის ნაკრების მცველები, თუმცა გუნდის თავკაცმა ჰერბერტ პროჰასკამ იგი მაინც შეცვალა და მოედანზე ნაკრების ახალწვეული კრისტიან მაირლები შეუშვა. სწორედ მაირლების წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი აქცია გოლად, წარმოშობით ხორვატმა ვასტიჩმა და თავისიანები 2:1 დააწინაურა. ეს ყველაფერი 76-ე წუთზე მოხდა. თითქოს მატჩის ასე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ, ეტყობა, მსოფლიოს ჩემპიონები სხვაგვარად ფიქრობდნენ და მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე ალენ ბოგოსიანმა ანგარიში გაათანაბრა — 2:2.

„ბედნიერი და ძალიან გახარებული ვარ. ეს შესანიშნავი მატჩი იყო. ავსტრიელები ჩინებულ ფორმაში არიან და დიდი ბრძოლაც გაგვიმართეს, თანაც ისინი შინ თამაშობდნენ. დღეს რამდენიმე ახალბედა გამოვცადე და ჩემდა საბედნიეროდ, მათ უმაღლეს დონეზე იასპარეზეს, ისე, როგორც მინდოდა“ — ეს სიტყვები ემე ჟაკეს შემცვლელ როჟე ლემერს ეკუთვნის, რომელიც საკმაოდ კმაყოფილი ჩანდა. არც მოწინააღმდეგეთა თავკაცი ჰერბერტ პროჰასკა იყო



საფრანგეთში გმირად შერაცხულ ზიდანს (№10) მაილიხი მოსვენებას არ აძლევდა

ცუდ გუნებაზე: „ფრე, ალბათ, ლოგიკური შედეგი იყო, თუმცა მეტიც შეგვეძლო. ბიჭებმა კარგად ითამაშეს და ახლა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს უკეთეს ხასიათზე ვხვდებით“ — აღნიშნა მან.

თავიანთი აზრი მსოფლიოს ჩემპიონთა ლიდერებმა, დიდიე დეშამპმა და ზინედინ ზიდანმაც გამოთქვეს. „მართალია, ამ შეხვედრას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ მაინც წაგვადგება. ჯერ ერთი, ფორმა აღვიდგინეთ და მეორეც, დღეს ნაკრებში ბევრმა ახალბედამ ითამაშა, რაც მათ ძალიან გამოადგებათ მომავალში“ — თქვა ფრანგთა კაპიტანმა. ზიდანმა, რომლისთვისაც ავსტრიელებთან შეხვედრა მე-40 იყო მის სანაკრებო კარიერაში, მატჩი ორიოდ სიტყვით შეაფასა: „ვფიქრობ, ცუდად არ გვითამაშია, მეტოქეც მშვენივრად ირჯებოდა“.

კიდევ ერთი საინტერესო მატჩი გაიმართა ქალაქ ორებროში, სადაც ერთმანეთს შვედეთისა და რუსეთის ნაკრებები დაუპირისპირდნენ. გამოკვეთილი უპირატესობა არც ამ შეხვედრაში ჰქონია რომელიმეს, თუმცა ბურთს უფრო ხშირად მასპინძლები აკონტროლებდნენ. ერთადერთი გოლი კი მატჩის დასაწყისშივე, მე-3 წუთზე გავიდა, როდესაც ბელგიური „ანდერლეხტის“ ნახევარმცველის პარ ზეტერბერგის კუთხურიდან ჩაწოდებულს მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“ მოთამაშე იორგენ პეტერსონი გამოეხმაურა და რუსეთის ნაკრებში დაბრუნებული დმიტრი ხარინი უსაქმოდ დატოვა. მეორე ტაიმი გუნდებმა ძირითადად მოედნის შუაგულისთვის ბრძოლაში გალიეს. მატჩი მხოლოდ ბოლო წუთებში გამწვავდა, როდესაც რუსებმა წაგების საფრთხე იგრძნეს, თუმცა უკვე გვიან იყო. მათ ვერც ესპანურ „სელტაში“ მოასპარეზე ალექსანდრ მოსტოვოის უძლიერესმა დარტყმამ უშველა, ბურთი ოდნავ ასცდა კარის ძელს. ასე რომ, შვედებმა შინ ბოლო ოთხ თამაშში მესამე გამარჯვება მოიპოვეს და ამასთან ერთდ გოლიც არ გაუშვიათ.

სხვა შეხვედრებიდან გამოსაყოფია 1992 წლის ევროპის ჩემპიონების — დანიელების მარცხი ამავე ტურნირის ოთხი წლის შემდგომ ფინალისტ ჩეხეთის ნაკრებთან. ეს მატჩი პრაღაში გაიმართა და ისიც ერთგოლიანი გამოდგა: ბურთი მე-8 წუთზე კარელ რადამ შეაგდო.

პორტუგალიის ქალაქ პონტა დელგადაში მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დარჩენილმა პორტუგალიელებმა მოზამბიკის სუსტ გუნდს უმასპინძლეს და რუი კოშტას დუბლის წყალობით მინიმალური ანგარიშით იმარჯვეს. ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორი მოზამბიკელი თავდამსხმელი არტურია.

ერთ დროს თანამემამულე ლიტველები და ბელარუსები ვილნიუსში შეხვდნენ ერთმანეთს. სტუმრებმა აშკარად დაჩაგრეს ბალტიისპირელები, რაც ანგარიშზეც აისახა, მათ 3:0 მოიგეს.

არაფრისმთქმელი მატჩი ჩატარდა კოშიცეში, სადაც სლოვაკებმა ფინეთის ნაკრებს უმასპინძლეს. როგორც მოსალოდნელი იყო, დაბალი დონის გუნდების უსახური პაექრობა ფრედ 0:0 დამთავრდა.



ლიუნგბერგისა და ხოხლოვის (№17) დუელი მთელი მატჩი გრძელდებოდა

გარდა ამხანაგური თამაშებისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 19 აგვისტოს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მეორე შეხვედრაც გაიმართა მეცხრე ჯგუფის ბინადრებს, შეიძლება ითქვას, აუტსაიდერებს შორის — სარაევოში ბოსნიის ნაკრებმა 20 ათასი გულშემატკივრის თვალწინ მეტად უსუსურად იასპარეზა და პლანეტის ერთ-ერთ უსუსტეს, ფარერის კუნძულების გუნდს დიდი გაჭირვებით მოუგო 1:0. გოლი ბოსნიელთა ცენტრფორვარდმა ელვირ ბალიჩმა გაიტანა. ამ გამარჯვების შემდეგ ბოსნიის ნაკრები თავის ჯგუფში ჯერჯერობით მეორეა.

შემდეგი მატჩები 5 სექტემბერს ჩატარდება: ბოსნია ესტონეთს უმასპინძლებს, ფარერები ჩეხეთს, ხოლო ლიტვა შოტლანდიას.

**დავით ძოწზირიძე**

# პოლონური კლუბები დათმობაზე მიდიან

პოლონურ ფეხბურთში რომ უმძიმესი ვითარებაა შექმნილი, ამის შესახებ არაერთხელ ვიუწყებოდით. საქმე იქამდეც მივიდა, რომ უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე გუნდები თამაშზე უარს აცხადებდნენ და სულაც პირველობის ჩაშლით იმუქრებოდნენ.

თუმცა, როგორც ქვეყნის საუკეთესო გუნდთა ასოციაციის (PAP) წარმომადგენელმა გუშინ საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადა, კლუბებმა, ისევ ადგილობრივი ფეხბურთის სასიკეთოდ, თავიანთი გადაწყვეტილება შეცვალეს და მზად არიან, აქამდე შეჩერებული ჩემპიონატი განაახლონ.

— ჩვენ პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის (PZPN) პრეზიდენტთან რთული ურთიერთობა გვაკავშირებს და მასთან არანაირ დათმობაზე წასვლას არ ვაპირებდით, მაგრამ ისიც კარგად მოგვეხსენება, რომ ასეთი ქმედებით საკუთარ თავს ვვნებთ. ეროვნული ჩემპიონატის ჩაშლა ხომ დამღუპველი იქნება ჩვენთვის. ამიტომ გადავწყვიტეთ, შევწყვიტოთ გაფიცვა. თუმცა ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ პოზიცია შევიცვალეთ. იმ შემთხვევაში, თუ ფედერაცია და კერძოდ, მისი თავკაცი მარიან ჯუროვიჩი ჩვენს ყველა მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს, გაფიცვას განვაახლებთ — ასეთი გახლდათ პოლონური კლუბების სახელით გამოსული ანტონი ტაკის განცხადების შინაარსი.

პირველი დივიზიონის კლუბებმა აქცია ორი კვირის წინ დაიწყეს და მათი ძირითადი მოთხოვნა PZPN-ს პრეზიდენტის დაკავებული თანამდებობიდან გადაყენება იყო. გაფიცვიდან რამდენიმე დღის შემდეგ საუკეთესო გუნდებს მეორე ლიგის ზოგიერთი წარმომადგენელიც შეუერთდა.

კლუბების უკმაყოფილების მთავარი მიზეზი კი ისევ და ისევ საეჭვო რეპუტაციის მქონე მარიან ჯუროვიჩი გახლდათ. ეს კაცი შექმნილ რთულ ვითარებასთან დაკავშირებით პოლონეთის ტელევიზიითაც გამოვიდა და საქვეყნოდ განაცხადა, PZPN-ს მორიგ არჩევნებში, რომლის ჩატარებაც ნოემბრის კონგრესზეა ნავარაუდევი, კენჭს აღარ ვიყრიო, მაგრამ რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტმა სიტყვა გატეხა და ახალი ვადით ფედერაციის თავკაცის პოსტზე თავისი კანდიდატურა წამოაყენა.

— ჩვენ უკიდურესად აღშფოთებული ვართ ჯუროვიჩის საქციელით და ამას კლუბებისადმი უდიდეს უპატივცემულობად აღვიქვამთ. თუმცა ეჭვი არ გვეპარება, რომ არჩევნებში სხვა გაიმარჯვებს და ქვეყნის ფეხბურთში შექმნილ ქაოსსაც ბოლო მოეღება — განაცხადა პტაკმა.

**ირაკლი ხმელიძე**

# საძაგლობა არ ჩაიდინოთო

ბრაზილიის ჩემპიონმა „ვასკუ და გამამ“ განაცხადა, რომ კოპა ლიბერტადორესის ფინალის საპასუხო შეხვედრაში, ეკვადორში, იქაურ „ბარსელონასთან“ სათამაშოდ არ გავა, თუ მატჩის წინ შენიშნავს, რომ ქალაქში და სტადიონზე მტრული ატმოსფეროა შექმნილი.

— როგორც კი რაიმე არანორმალური მოხდება, იმწუთას უარს განვაცხადებთ თამაშზე — თქვა „ვასკუს“ დირექტორმა და იმავდროულად ბრაზილიის პარლამენტის წევრმა ენრიკო მირანდამ — მე ყველა მიცნობს, ყველამ კარგად უწყის, რა კაცთანაც აქვთ საქმე.

მართლაც ყველას კარგად მოეხსენება მირანდას ხასიათის ამბავი. ერთხელ, თამაშის დროს ის მოედანზე შეუვარდა მსაჯს, რომელმაც მყისვე წითელი ბარათი აუფრიალა, მაგრამ მირანდამ დეპუტატის ხელშეუხებლობის მანდატი მაქვსო და იქაურობა არ დატოვა.

მირანდამ განაცხადა, რომ „ვასკუმ“ ეკვადორის საპორტო ქალაქ გაიკილში უკვე გააგზავნა მზარეულები და მათ თავისი ასისტენტიც გააყოლა. ისინი გარემოს შეისწავლიან.

გაიკილში მოსალოდნელია, რომ „ბარსელონა“ — „ვასკუ და გამას“ თამაშს 85 ათასი კაცი დაესწრება. მატჩში, რომელიც 26 აგვისტოს უნდა შედგეს, ბრაზილიის ჩემპიონს პირველ შეხვედრაში მოგებული 2:0-ის დაცვა მოუწევს.

კოპა ლიბერტადორესი სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასი გახლავთ, რომელსაც, ბუნებრივია, ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ ისტორიის ფურცლებზე უამრავი სკანდალური ამბავია აღწერილი. რა არ მომხდარა მოედანზე თუ მის მიღმა. აურაცხელი საჩივარი დაწერილა.

როგორც ჩანს, მსოფლიო ახალი აყალმაყალის ზღურბლთან დგას, ჩვენ კი ძველი და ტიპიური ამბები მოვყვეთ.

პარაგვაელმა ფეხბურთელმა ფრანსისკო არკემ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ბრაზილიის 1995 წლის ჩემპიონი პორტუ ალეგრეს „გრემიო“ უშიშროების თანამშრომლებს (ბუნებრივია მოწიფულ მამაკაცებს) აუტის ბიჭებად აყენებდა და შესაბამისადაც აცმევდა, რითაც მეტოქის ფსიქიკაზე მოქმედებდა. შემდეგ არკე „გრემიოდან“ ბრაზილიისავე „პალმეირასში“ გადავიდა.

წლეულს, როდესაც „ვასკუ და გამა“ პორტუ ალეგრეში ჩავიდა, გასახდელში საღებავის ისეთი მძაფრი სუნი დაუხვდა, რომ მის რამდენიმე ფეხბურთელს გული აერია და თავი ატკივდა.

გარდა ამისა, „ვასკუს“ ფეხბურთელებმა აღმოაჩინეს, რომ „გრემიოს“ მათი უსაფრთხოების დასაცავად უბოროტესი მტრის, „ფლამენგოს“ უშიშროების თანამშრომლები დაუქირავებია.

თავის მხრივ არც „ვასკუ“ გახლავთ წმინდა გუნდი. მისი „სან ჟუნიარიოს“ სტადიონი, ისეთ უბანშია, სათამაშოდ კი არა, წყლის დასალევად არ შეხვალ, სულ რომ იხრჩობოდე. ახლა წარმოიდგინეთ იქ რა ამბები ტრიალებს ხოლმე.

გასულ წელიწადს „სან ჟუნიაროზე“ ტრიბუნიდან ნასროლი უამრავი საგნიდან ერთ-ერთი თანამსაჯს თავში მოხვდა და სერიოზულად დააზიანა, რისთვისაც გუნდს 18 თვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. მაგრამ ამ წლის დასაწყისში სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციამ განაჩენი გააუქმა.

რაც შეეხება ლიბერტადორესის თასის 26 აგვისტოს თამაშს, რომელსაც მოვაყოლეთ ეს საუბარი, აქ „ვასკუ“ ბუნებრივია ფავორიტადაა შერაცხული. გუნდი მართლაც ძალიან ახლოა ამ ჯილდოს ისტორიაში პირველად მოპოვებასთან და სამზადისში, ბრაზილიის პირველობის ყველა უახლოესი თამაშიც კი გადასდო, ხოლო მერკოსურის თასზე დუბლშემადგენლობა გაუშვა.

„ბარსელონა“, რომელიც ეკვადორში კატალონიელმა ემიგრანტებმა დაარსეს, კიდევ უფრო საპატიო ამოცანის წინაშე დგას. ეკვადორს ხომ დიდ თასთაგან არასდროს არაფერი მოუგია.

# და დარჩა ორპირი ძარი

## ტუალეტის ამბის გაგრძელება



აი, ზიკო, რომელიც რომარიომ ტუალეტში დახატა

რიოს ტუალეტის გარშემო მდგომარეობა გამწვავდა. ვეტერანმა ვარსკვლავმა, რომარიომ თავის ბარში, ტუალეტის კარებზე ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, მარიო ზაგალოს კარიკატურა იმიტომ კი არ დახატა, რომ მისი გამასხარავება სურდა, არამედ აიძულესო, განაცხადა მისმა ვექილმა.

ამ ვექილის, სერჟიო ზვეიტერის თქმით, სამოქალაქო სასამართლომ ტუალეტის კარები ჩამოხსნა და წაიღო. მოკლედ, ამიერიდან რომარიოს ბარის ტუალეტს აღარ დაამშვენებს ნახატი, სადაც უნიტაზზე ჩამომჯდარი ზაგალოა გამოხატული. სურათზე „ბებერ მგელს“ შარვალი კოჭებამდე აქვს ჩახდილი.

არადა, რომარიოს განაწყენების საბაბი ჰქონდა. გეხსომებათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე სულ 10 დღე იყო დარჩენილი, როდესაც ზაგალომ მას განუცხადა განაცხადიდან უნდა ამოგშალოო. მიზეზი: რომარიოს კუნთი ჰქონდა დაზიანებული.

სხვათა შორის, სახელგანთქმული ტუალეტის მეორე კარზე წარსულში ცნობილი ფეხბურთელი და საფრანგეთი 98-ის დღეებში ზაგალოს ასისტენტი ზიკოც იყო გამოსახული. ნახატზე იგი უბედურის სახით და ხელში ტუალეტის ქაღალდის მთელი რულონით გახლდათ გამოსახული

ზვეიტერმა ბრძანა, რომ იგი სასამართლოს გადაწყვეტილებას მაინც გააპროტესტებს (ანუ, ალბათ, ეცდება ტუალეტის კარები დაიბრუნოს), თუმცა როგორც ჩანს, ეს ფორმალობაა, რადგან სარჩელის ძირითადი ნაწილი, ეტყობა მაინც მისი კლიენტის სასარგებლოდ გადაწყდა — ზაგალო მორალური ზარალის საკომპენსაციოდ მილიონ დოლარს ითხოვდა.

ტელევიზიამ გადასცა, როგორ შეეიდნენ მორჭმული მოსამართლეები ბარში (ანუ ტუალეტში), რომელიც პლაჟთან ახლო უბანში მდებარეობს, იქ, სადაც ფეხბურთელები გამარჯვებას ზეიმობენ ხოლმე. აჩვენეს ისიც, თუ როგორ დარჩა რომარიოს ბარის ტუალეტი შესასვლელი და გასასვლელი კარების გარეშე.

ტელევიზიით ზაგალოს სარჩელიც წაიკითხეს. იქ წერია: „კარიკატურები პირადი შურისძიებაა იმისთვის, რომ რომარიო მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა დარჩა“.

რომარიო, თავის მხრივ ამბობს, რომ მისი ტრავმა არც ისეთი მძიმე იყო, როგორც დახატეს. იგი თვლიდა, რომ ცოტა ხანში გამოჯანმრთელდებოდა და ჩინებულად შეძლებდა თამაშს. თამაშის ნაცვლად კი ტელეკომენტატორობა მოუხდა.

ხოლო ზიკო ამ ისტორიაში იმიტომაა გახვეული, რომ მან ერთ ინტერვიუში რომარიოზე თქვა, საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულება არ აქვსო.

ბარის მეპატრონე ფორვარდმა, სინამდვილეში, მართლა დიდი ხანი მოანდომა მკურნალობას, ბრაზილიის ჩემპიონატში სულ რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა და მხოლოდ და მხოლოდ ორი გოლი გაიტანა. გასულ ოთხშაბათს მან შესვენებამდე კოჭლობით დატოვა მოედანი, შაბათ-კვირას კი სულაც ვერ ითამაშა.

ზაგალო იხსენებს, რომ რომარიო მართლაც არ იყო მძიმედ დაშავებული და ამიტომაც ბოლო წამამდე აცადა მკურნალობა, რაც არ გაუკეთა მცველს მარსიო სანტუშსა და ნახევარმცველს, ფლავიო კონსეისაოს.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია “CROCO”

### გერმანიის ჩემპიონატი.

ბუნდესლიგა. II ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 აგვისტო | | | |
| ჰანზა — ვოლფსბურგი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ვერდერი — ნიურნბერგი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| 22 აგვისტო | | | |
| დორტმუნდი — ჰერტა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| შალკე — შტუტგარტი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| აინტრახტი — მიუნხენ 1860 | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| ბაიერნი — დუისბურგი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,7 |
| კაიზერსლაუტერნი — გლადბახი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ფრაიბურგი — ლევერკუზენი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 23 აგვისტო | | | |
| ჰამბურგი — ბოხუმი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

### გერმანიის ჩემპიონატი.

მეორე ბუნდესლიგა. V ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 აგვისტო | | | |
| ულმი — უნტერჰახინგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| მაინცი — კიოლნი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ურდინგენი — კიკერსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 23 აგვისტო | | | |
| ობერჰაუზენი — ვატენშაიდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| გიუტერსლო — ჰანოვერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ფორტუნა — ფიურტი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 24 აგვისტო | | | |
| ზანქტ პაული — არმინია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| კოტბუსი — კარლსრუე | 2,2 | 3,0 | 2,9 |

### ინგლისის ჩემპიონატი.

პრემიერლიგა. II ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| ჩარლტონი — საუთჰემპტონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ჩელსი — ნიუკასლი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| დერბი — უიმბლდონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლესტერი — ევერტონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლივერპული — არსენალი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ნოტინგემი — ქოვენთრი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ტოტენჰემი — შეფილდი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ვესტ ჰემი— მანჩესტერი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 23 აგვისტო | | | |
| ასტონ ვილა — მიდლსბრო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 24 აგვისტო | | | |
| ლიდსი — ბლექბერნი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ინგლისის ჩემპიონატი.

პირველი დივიზიონი. III ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 აგვისტო | | | |
| ბარნსლი — სტოკპორტი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 22 აგვისტო | | | |
| ბრისტოლი — უოტფორდი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| ბერი — ქრიუ | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| კრისტალ პალასი — ოქსფორდი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| გრიმსბი — ჰადერსფილდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ნორვიჩი — ქუინზ პარკი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| პორტ ვეილი — ვესტ ბრომვიჩი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| პორტსმუთი — იფსვიჩი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| შეფილდი — ბირმინგემი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სანდერლენდი — ტრანმერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ვულვერჰემპტონი — სვინდონი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 23 აგვისტო | | | |
| ბრედფორდი — ბოლტონი | 3,1 | 3,0 | 2,1 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. III ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| რენი — ლე ავრი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| მარსელი — მონპელიე | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბასტია — მეცი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ბორდო — ოსერი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| სტრასბური — პსჟ | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ტულუზი — მონაკო | 4,0 | 3,1 | 1,5 |
| ლორანი — ლიონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 23 აგვისტო | | | |
| სოშო — ლანსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ნანსი — ნანტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. I ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 აგვისტო | | | |
| ბენფიკა — ამადორა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ბრაგა — ბეირა მარი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| 22 აგვისტო | | | |
| პორტუ — რიუ ავე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23 აგვისტო | | | |
| ლეცა — აკადემიკა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სალგეირუში — ფარენსე | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ლეირია — მარიტიმუ | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ბოავიშტა — გიმარაეში | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| კამპომაიორენსე — ალვერია | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 24 აგვისტო | | | |
| სეტუბალი — სპორტინგი | 4,0 | 3,0 | 1,8 |

### რუსეთის ჩემპიონატი. XXII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| როსტსელმაში — ზენიტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ჩერნომორეცი — ლოკომოტივი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| შინიკი — დინამო | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| როტორი — ჟემჩუჟინა | 1,4 | 3,5 | 4,2 |
| ტორპედო — ალანია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ცსკა — ურალანი | 1,7 | 3,1 | 3,8 |
| სპარტაკი — კრილია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ტიუმენი — ბალტიკა | 6,0 | 3,6 | 1,4 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. I ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 აგვისტო | | | |
| სიტარდი — ფეიენოორდი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 22 აგვისტო | | | |
| ვიტესი — როდა | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| მაასტრიხტი — გრააფსხაპი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| კამბური — ეინდჰოვენი | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| აზ 67 — სპარტა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ვალვაიკი — ნაიმეგენი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 23 აგვისტო | | | |
| ბრედა — უტრეხტი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| აიაქსი — ტილბურგი | 1,2 | 5,0 | 9,0 |

### ბელგიის ჩემპიონატი. I ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| ოსტენდე — სტანდარდი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| ეკერენი — ვესტერლო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| სენტ ტრუიდენი — მუსკრონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლომელი — ბევერენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ანდერლეხტი — შარლერუა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ლოკერენი — გენკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ლიერსი — გენტი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 23 აგვისტო | | | |
| ჰარელბეკი — კორტრაიკი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| აალსტი — ბრიუგე | 3,6 | 2,9 | 1,9 |

### თურქეთის ჩემპიონატი. III ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 21-23 აგვისტო | | | |
| დარდანელი — გენჩლერბირლიგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| საქარია — ალთაი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ქარაბუქი — ისთანბული | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ბეშიქთაში — გაზიანთეფი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ტრაბზონი — ბურსა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| გალათასარაი — ქოჯაელი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ადანა — ფენერბაჰჩე | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| ანკარაგიუჯიუ — ანთალია | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| სამსუნი — ერზურუმი | 1,5 | 3,5 | 5,3 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. III ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| სელტიკი — დანდი იუნაიტედი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,3 | 3,8 |
| ჰარტსი — აბერდინი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| კილმარნოკი — რეინჯერსი | 4,7 | 3,3 | 1,6 |
| მოზერველი — დანფერმლაინი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 23 აგვისტო | | | |
| დანდი — სენტ ჯონსტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. VII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 აგვისტო | | | |
| გრასჰოპერი — სერვეტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლოზანა — ციურიხი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 22 აგვისტო | | | |
| იანგ ბოიზი — არაუ | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| ლუგანო — სიონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ქსამაქსი — ლუცერნი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 23 აგვისტო | | | |
| სენტ გალენი — ბაზელი | 1,6 | 3,1 | 5,3 |

### იტალიის თასი. მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| ლუკეზე — ნაპოლი | 2,1 | 2,9 | 2,6 |
| 23 აგვისტო | | | |
| ანკონა — რავენა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ლუმეცანე — კალიარი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ლივორნო — რეჯინა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ნოჩერინა — ვერონა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| მონცა — ლეჩე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| პადოვა — რეჯანა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| კრემონეზე — ატალანტა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| კიევო — ფოჯა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| გუალდო — ფ. ანდრია | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| კატანია — ბრეშა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ალბანო — ტორინო (ბერგამოში) | 4,7 | 3,3 | 1,6 |
| კოზენცა — ტრევიზო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| დი სანგრო — პერუჯა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ჩეზენა — პესკარა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 24 აგვისტო | | | |
| ტერნანა — ჯენოა | 3,1 | 3,0 | 2,1 |

### ესპანეთის სუპერთასი. საპასუხო მატჩი

| | | | |
|---|---|---|---|
| 24 აგვისტო | | | |
| ბარსელონა — მალიორკა | 1,3 | 4,0 | 7,5 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაწყისი პირველ გვერდზე

# ინატრეთ ნოლი და ინატრეთ ციცქნა

იმედი ბოლოს კვდებაო, ხომ გაგიგონიათ? ჩვენც ერთბაშად გადაგვავიწყდა შანიძის მიერ ორიოდე დღის წინ ნაჩვენები უსუსტესი შედეგი და ინტერესით მივადევნეთ თვალი თანამემამულის გარბენს. მაგრამ...

არც ამჯერად გაგვიმართლა. თამარმა 200 მეტრ დისტანციაზე პირველ მეოთხედფინალში რვა ქალს შორის მერვე ადგილზე დაასრულა რბენა, ხოლო როდესაც ნახევარფინალებში გასასვლელად გამორჩეული ოთხივე გარბენი ჩატარდა და მონაწილეთა შედეგებს თვალი გადავავლეთ, 100 მეტრზე გარბენის მსგავსად აქაც ერთი რამ მეტად მტკივნეულად გვეცა თვალში — თამარ შანიძის დრო 24,91 წამი


REUTERS ბუდაპეშტიდან

ელენა აფანასიევა

ისევ ყველაზე უარესი გახლდათ...

ხუთშაბათს პირველი ოქროს მედალი 10 კილომეტრზე სპორტულად მოარულმა ქალებმა გაითამაშეს. ჩემპიონატის ორგანიზატორებმა სტადიონზე შეკრებილ მაყურებელის ნაკლებად დატვირთვის მიზნით სპორტსმენებს საწყისი ორი წრე მწვანე გაზონის ირგვლივ დაარტყმევინეს, ხოლო შემდეგ კი გასასვლელი კარისკენ მიუთითეთს და მთავარმა ბრძოლამაც ბუდაპეშტის ულამაზეს ქუჩებში გადაინაცვლა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სპორტული სიარული თავისთავად საინტერესო სანახაობა კია, მაგრამ იმავდროულად ისეთიცაა მსაჯების სუბიექტურობა ყველაზე თვალში საცემი რომ არის. ახლაც იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც არბიტრებმა ზოგიერთი ქალი (შეიძლება ამ უკანასკნელთა არასათანადო მომხიბვლელობის გამო) აითვალწუნეს და საკმაოდ უსაფუძვლოდ მოხსნეს გარბენიდან.

თავად გამარჯვებული იტალიელი ანარიტა სიდოტი უფრო ცეროდენას მოგაგონებდათ და ვერც გამორჩეული ქალური მონაცემებით დაიკვეხნიდა, მაგრამ მას მსაჯებმა ვერაფერი გამოუძებნეს. აპენინელი ქალი დამაჯერებლად ლიდერობდა მთელი დისტანციის მანძილზე და დამსახურებულადაც ირგუნა ოქრო.

ასპარეზობის მესამე დღეს შვიდ სახეობაში ერთმანეთზე თვალწარმტაცი ბრძოლები გაიმართაო, თავში ვახსენეთ. თუმცა ამათგან ერთი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა. ათჭიდელი ვაჟები, მართალია, ცალ-ცალკე აღებულ სახეობებში მსოფლიოს საუკეთესო შედეგებს ვერ აღწევენ, მაგრამ მთლიანობაში ბადალი არ ჰყავთ და საერთოდაც, უძლიერეს ათლეტებად ითვლებიან.


REUTERS ბუდაპეშტიდან

ჯერ რეიეს ესტევესი, მერე ყველანი...

ბოლო, გადამწყვეტი სახეობა 1500 მეტრზე რბენა გახლდათ. აქამდე ლიდერად ესტონელი ნოლი იყო მისული და იმ დროისთვის იმდენად დიდი უპირატესობა (167 ქულა 9 სახეობის შემდეგ) მოეპოვებინა, რომ მეორე ადგილზე მყოფ ჰამალაინენს თუკი ჩემპიონობა სურდა, ბალტიისპირელისთვის მთელი 16 წამით უნდა ეჯობნა.

მაგრამ ესტონელის საბედნიეროდ, სასწაული არ მოხდა. უფრო სწორად, თავად ნოლმა იზრუნა იმისთვის, რათა მის პირველობაში ეჭვი არავის შეეტანა და ამის დასამტკიცებლად მან ბოლო სახეობაშიც აჯობა ფინელს.

ძალზე საინტერესოდ და დრამატულად წარიმართა 400 მეტრზე თარჯრბენი ვაჟთა შორის. მას შემდეგ, რაც წინა დღით ნახევარფინალური გარბენის დროს მთავარი ფავორიტი ფრანგი სტეფან დიაგანა წაიქცა და ჩემპიონატს დაემშვიდობა, გამარჯვების უპირველეს კანდიდატად რუსი მაშჩენკო ითვლებოდა. ეს სპორტსმენი მართლაც მთელს დისტანციაზე ლიდერობდა და თითქოს საყოველთაო პროგნოზის გამართლებაც არ უნდა გაჭირვებოდა, მაგრამ სულ ბოლო მომენტში პოლონელმა იანუშევსკიმ არნახალი ძალისხმევა გამოიჩინა, მეტოქეს გადაასწრო და სენსაციური გამარჯვებაც მოიპოვა (48,17 წამი).

რაც შეეხებათ დღის დანარჩენ ტრიუმფატორებს, ესენი იყვნენ: შუბის მტყორცნელი უკრაინელი ქალი ვიტა პავლიში, 1500 მეტრზე მორბენალი ესპანელი რეის ესტევესი, ქალთა სამხტომში გამარჯვებული ბერძენი ოლგა ვასდეკი და რუსი 800 მეტრზე მორბენალი ელენა აფანასიევა.

დღეს ოქროს მედლები შემდეგ ცხრა სახეობაში გათამაშდება:

ქალებს შორის: ბარდოს ტყორცნაში, 200 და 400 მეტრზე რბენაში, ჭოკით ხტომასა და 400 მეტრზე თარჯრბენში.

ვაჟებს შორის: 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში, სიმაღლეზე ხტომაში, 200 და 400 მეტრზე სირბილში.

**ირაკლი ხმელიძე**

## ტექნიკური შედეგები

**ბირთვის კვრა. ქალები**

1. ვიტა პავლიში (უკრაინა) 21,69 მ; 2. ირინა კორჟანენკო (რუსეთი) 19,71; 3. იანინა კოროლჩიკი (ბელარუსი) 19,23.

**10 000 მეტრი. სპორტული სიარული. ქალები**

1. ანარიტა სიდოტი (იტალია) 42 წთ 49 წმ; 2. ერიკა ალფრიდი (იტალია) 42:54; 3. სუზანა ფეიტორი (პორტუგალია) 42:55.

**1500 მეტრზე რბენა. ვაჟები**

1. რეიეს ესტევესი (ესპანეთი) 3 წთ 41. 31 წმ; 2. რუი სილვა (პორტუგალია) 3:41,84; 3. ფერმინ კაჩო (ესპანეთი) 3:42,13.

**სამხტომი. ქალები**

1. ოლგა ვასდეკი (საბერძნეთი) 14,55 მ; 2. სარკა კასპარკოვა (ჩეხეთი) 14,53; 3. ტერეზე მარინოვა (ბულგარეთი) 14,50.

**400 მეტრზე თარჯრბენი. ვაჟები**

1. პაველ იანუშევსკი (პოლონეთი) 48,17 წამი; 2. რუსიან მაშჩენკო (რუსეთი) 48,25; 3. ფაბრიციო მორი (იტალია) 48,71.

**ათჭიდი. ვაჟები**

1. ერკი ნოლი (ესტონეთი) 8667 ქულა; 2. ედუარდ ჰამალაინენი (ფინეთი) 8587; 3. ლევ ლობოდინი (რუსეთი) 8571.

**800 მეტრზე რბენა. ქალები**

1. ელენა აფანასიევა (რუსეთი) 1 წთ 58,50 წმ; 2. მალინ ევერლოფი (შვედეთი) 1:59,61; 3. სტეფანია გრაფი (ავსტრია) 2:00,11.



# ჯორდანი გააგდეს

კალათბურთის ცოცხალი ლეგენდის მაიკლ ჯორდანის თაყვანისმცემლები ნუ შეშფოთდებით. ლაპარაკია არა ჩაკაგოელ ჯორდანზე, არამედ მის მოგვარე ედიზე, „საკრამენტო კინგზს" რომ ედგა სათავეში. ჯორდანის დათხოვნის უმთავრესი მიზეზი „მეფეთა" უშედეგო და უსახური თამაში გახდა, საკრამენტოელებმა გასულ სეზონში გამართული 82 თამაშიდან 55 წააგეს და წყნარი ოკეანის დივიზიონში მეხუთე, საერთოდ დასავლეთ კონფერენციაში კი მეცხრე ადგილი დაიკავეს. მეცხრე და მერვე ადგილებს შორის თითქოს რა დიდი სხვაობაა, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მერვე ადგილი პლეი ოფში თამაშს ნიშნავს, საკრამენტო კი მთელი 14 მოგებით ჩამორჩა მერვეზე გასულ ჰიუსტონს და პლეი ოფში მოსახვედრად გამზადებული გუნდი მის მიღმა აღმოჩნდა. ამასთან, ჯორდანის გუნდმა ბოლო ოცი შეხვედრიდან ერთადერთი მოიგო. ჯორდანისთვის ეს ერთობ უიღბლო სეზონი პირველი იყო საკრამენტოში — შარშან მან გარი სენტ ჟანი შეცვალა.

43 წლის ედი ჯორდანს მოთამაშეებთანაც ვერ ჰქონდა აწყობილი ურთიერთობა. სწორედ მასთან უთანხმოების გამო დატოვა მეფეების ლიდერმა, სუპერვარსკვლავმა მიჩ რიჩმონდმა საკრამენტო და ვაშინგტონში გადაბარგდა იქაური კრის უებერის ნაცვლად. ჯორდანი არც გუნდის პირველ ცენტრს ოლდენ პოლინაისს ენდობოდა და ამის გამო ლამის მუშტი-კრივი გაუმართა 212-სანტიმეტრიანმა ზანგმა.

და მაინც, ედი ჯორდანს საკრამენტოში ცუდი სახელი არ დაუტოვებია — მან საქმეში სული და გული ჩადო, მაგრამ გუნდს ბოლო ხუთი წელია, ასე ცუდად არ უთამაშია, მისი შრომა და გარჯა არ აღმოჩნდა საკმარისი — თქვა „კინგზის" ვიცე-პრეზიდენტმა ჯეფ პეტრიმ.

ჯორდანს NBA-ში სულ შვიდი წელი გაუტარებია, უმუშავია კლივლენდში, ნიუ ჯერსიში, ლეიკერსში, პორტლენდში და საკრამენტოში. ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს მწვრთნელყოფილი მუშაობას, რადგან ეს მოურჩენელი ლოკაუტი ყოველგვარი კონტრაქტების გაფორმებას კრძალავს.

**ირაკლი ფირაშვილი**



# რა დროს კორტია!..

ინდიანაპოლისი
საპრიზო 1 მილიონი $

მეორე წრეში შავი დღე დაადგათ განთესილებს. გუშინ ბობოლებმა პანტა-პუნტით იწყეს წაგება და ტურნირს ერთბაშად ექვსი განთესილი მოაკლდა, აქედან სამი ესპანელი. ხუან კარლოსის ქვეშევრდომთაგან ასე თუ ისე მხოლოდ ფელიქს მანტია (10) დამარცხდა ღირსეულ ბრძოლაში მაროკოელ ჰიშამ არაზისთან სამსეტიან შეხვედრაში, მეშვიდე ნომრად განთესილმა ალბერტ კოსტამ და მისმა სეხნია ბერასატეგიმ (8) კი სამარცხვინოდ წააგეს უსახელო ამერიკელებთან დევიდ უიტონთან და ბრაიან მაკფაისთან. სირცხვილი ჭამა ავსტრიელმა ტომას მუსტერმაც, ვინაც ერთ დროს მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო, დღესდღეობით კი ოდენ ოცეულის წევრია. ავსტრიელს სამ სეტში მოუგო ზიმბაბველმა უეინ ბლექმა 6:3, 5:7, 6:4. სამშობლო უეინის ძმამ ბაირონმაც ასახელა — ანდრეა გაუდენცის მძლეველ ჯანლუკა პოცის გამოუყვანა წირვა. სანამ სხვა ფავორიტები უსახელო ჩოგბურთელებთან ჯახირობდნენ, ფორმაში შესულმა კიდევ ერთმა ექსპირველმა ჩოგანმა ანდრე აგასიმ ავსტრალიელი ტებუტი 6:1, 6:0 დაიბრიყვა და მესამე წრეში სულ რიხინრიხინით გავიდა, მასზე იოლად კი ახლანდელი პირველი ჩოგანი, ჩილელი მარსელო რიოსი გამოძვრა: მის მეტოქეს, 20 წლის ამერიკელ ბობ ბრაიანს ფალარათი შეეყარა და კორტზე გასასვლელად სად ეცალა.

**გრეგ რუზეცკი (3, ბრიტანეთი) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 7:6, 6:3; ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) — იონას ბიორკმანი (4, შვედეთი) 7:5, 6:3; ანდრე აგასი (5, აშშ) — მაიკლ ტებუტი (ავსტრალია) 6:1, 6:0; დევიდ უიტონი (აშშ) — ალბერტ კოსტა (7, ესპანეთი) 6:2, 6:4; ბრაიან მაკფაი (აშშ) — ალბერტო ბერასატეგი (8, ესპანეთი) 6:1, 6:4; ჰიშამ არაზი (მაროკო) — ფელიქს მანტია (10, ესპანეთი) 6:2, 4:6, 6:4; ალექს კორეტხა (6, ესპანეთი) — სკოტ დრაიპერი (ავსტრალია) 6:3, 6:7, 6:0; რაიმონ დელგადო (პარაგვაი) — სედრიკ პიოლინი (9, საფრანგეთი) 7:6, 6:4; მარკ ფილიპუსისი (11, ავსტრალია) — ადრიან გოინეა (რუმინეთი) 7:5, 6:4; უეინ ბლექი (ზიმბაბვე) — ტომას მუსტერი (12, ავსტრია) 6:3, 5:7, 6:4; ფრანცისკო კლავეტი (13, ესპანეთი) — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:4, 6:0; უეინ ფერეირა (14, სამხრეთი აფრიკა) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 7:6, 6:2; ტოდ მარტინი (15, აშშ) — არნოტ კლემენტი (საფრანგეთი) 4:6, 6:1, 6:4; ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) — ჯანლუკა პოცი (იტალია) 7:6, 6:4.**


REUTERS მონრეალიდან

საჩოგბურთო სამყაროში ამაზე აღარც კი ჭორაობენ: ანა კურნიკოვა და ჰოკეის რუსი ვარსკვლავი სერგეი ფიოდოროვი სიახლოვეს აღარ მალავენ

მონრეალი
კანადის ღია პირველობა
საპრიზო 926 250 $

ბობოლა დიაცები ტურნირში მეორე წრიდან ჩაებნენ და გასეირნებაც გამოუვიდათ, მხოლოდ მესამე ნომრად განთესილ ესპანელ არანჩა სანჩეს ვიკარიოს გაუჯანჯლდა მატჩი კარინა ჰაბსუდოვასთან და მის საძლევად სამი სეტი დასჭირდა. მსოფლიოს პირველ და მეორე ჩოგნებს მარტინა ჰინგისს და იანა ნოვოტნას მხოლოდ პირველ სეტში შეექმნათ მცირეოდენი პრობლემები. იანამ პირველი სეტი ტაი-ბრეიკით მოიგო 7:6, მეორეში კი საქმე გამოასწორა 6:2. „ოთხი კვირა არ მეთამაშა და რამდენჯერმე გულსატკენად შევცდი, მერე კი საქმე აშკარად გამოვასწორე" — თქვა მომდევნო წრეში გასვლით გახარებულმა ნოვოტნამ. განთესილთაგან კი მხოლოდ ბელგიელი დომინიკ ვან რუსტი (12) გავარდა.

**მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — სილვია პლიშკე (ავსტრია) 6:4, 6:1; იანა ნოვოტნა (2, ჩეხეთი) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 7:5, 6:2; არანჩა სანჩეს ვიკარიო (3, ესპანეთი) — კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) 0:6, 7:5, 6:2; ნატალი ტოზია (11, საფრანგეთი) — კიმბერლი პო (აშშ) 6:3, 6:3; იაუკი ბაზუკი (ინდონეზია) — დომინიკ ვან რუსტი (12, ბელგია) 7:5, 6:3; სანდრინ ტესტიუ (14, საფრანგეთი) — ივა მაიოლი (ხორვატია) 6:7, 6:4, 6:1; ანა კურნიკოვა (15, რუსეთი) — რუქსანა დრაგომირი (რუმინეთი) 4:6, 6:2, 6:4; სილვია ფარინა (იტალია) — მერი ჯო ფერნანდესი (აშშ) 7:5, 6:3; ანკე ჰუბერი (გერმანია) — ფლორენსია ლაბატი (არგენტინა) 6:2, 6:4; მაგუი სერნა (ესპანეთი) — კორინა მორარიუ (აშშ) 7:6, 6:3.**

**ირაკლი ფირაშვილი**


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:** ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე გოგიშვილი, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29